№ 145 1877—1905 № 145

ხუთშაბათი, 18 აგვისტო

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დაუბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверiя“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ. წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

საჯარო ბიბლიოთეკა

რედაქცია აუწყებს ხელნაწერების იმ ავტორებს, ვისთანაც წინდაწინვე გარიგებული არ არის, რომ ყოველ წერილს, რომელზედაც აღნიშნული არ იქნება ავტორის პირობები ჰონორარის შესახებ, რედაქცია უფასოდ ჩასთვლის და, თუ დაიბეჭდა, ჰონორარს არ გადიხდის.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი**, 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა და **წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленiе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—15)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების გამგე კომიტეტი აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა წლის სექტემბრის 18-ს, კვირას, დილის 10 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში, დანიშნულია საზოგადოების წევრთა საზოგადო **საგანგებო კრება.**

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:
1. გამგე კომიტეტის თავმჯდომარის, თავჯდომარის ამხანაგისა და წევრების არჩევანი.
2. სათავად-აზნაურო გიმნაზიის და ახალის შენობისათვის სარევიზო კომიტეტის წევრთა არჩევანი.
3. საკითხი გიმნაზიის რეორგანიზიციის შესახებ.
და 4. სხვადასხვა საკითხები. (4–1).

საბჭო ქუთაისის საქალაქო სამეურნეო საზოგადოების „შრომა“-სი ამით აცხადებს, რომ სწავლა საზოგადოების სამეურნეო სკოლაში განახლდება პირველ სექტემბრიდან ამამდგომარე წლისა. ამ სამოსწავლო წელში გაიხსნება მეორე კლასი. ფასი სწავლისა იგივე რჩება, რაც შარშან იყო, ე. ი. პანსიონერზე ას ოცდა ათი მანათი (130 მ.) და გარედან მოსიარულე მოსწავლეზე ოცი მანათი (20 მ.) წელიწადში. თხოვნა სკოლაში მიღების შესახებ უნდა იქმნეს დაწერილი სკოლის გამგის სახელობაზე.—ფოსტის ადრესი: Секретарю совѣта общества „Шрома“ I. К. Такайшвили, для передачи завѣдывающей школою общества, въ гор. Кутаисъ. Контора Нотарiюса Анджапаридзе. (7—4)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ე. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. ჰ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულ გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардiана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

ბაბაშვილი გრიგოლ—კოხუბეის ქუჩა, № 91.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორეროს სახლის № 157

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

მუშათა კლასი და ხალხი

—

როდესაც რომელიმე თავადი იცავს ან თხოულობს რაიმე წოდებრივ საქმეს და ამავე დროს აცხადებს: ეს საქმე წოდებრივი კი არა საეროა, მთელი ერის კეთილდღეობის ხელის შემწყობიო, —აქ შეცდომა აშკარაა, ამგვარი პირი იცავს მხოლოდ წოდებრივ ინტერესს და ემსახურება მხოლოდ ერთი წოდების კეთილდღეობას. როდესაც რომელიმე ბიუროკრატი იცავს ისეთ პროექტს, რომელიც ბიუროკრატიას კიდევ უფრო აძლიერებს, ამავე დროს კი ამ პროექტის დამცველი გვიმტკიცებს: ამას მოითხოვს მთელი სახელმწიფოს ინტერესიო, აქ შეცდომა ყველასათვის თვალსაჩინოა,—ის მხოლოდ ბიუროკრატიისათვის ზრუნავს და ხალხის ინტერესს მხოლოდ სიტყვის გასალამაზებლად იხსენიებს. როდესაც რომელიმე ბურჟუა გამოდგება და ამტკიცებს: ბაჟი და თორმეტ საათის სამუშაო დღე სახელმწიფოს წარმატებისა და ერის კეთილდღეობისათვის საჭიროაო, აქაც შეცდომა ადვილი დასანახავია,—ბაჟიცა და თორმეტი საათის სამუშაო დღე ჯიბეს უსქელებს მხოლოდ ბურჟუაზიასა და ბიუროკრატიას, ხალხს კი ჯანს აცლის და ჯიბეს უთხელებს. ხოლო როდესაც რომელიმე დამცველი პროლეტარიატის ინტერესებისა გამოდგება და ამტკიცებს: პროლეტარიატის ყოველი ინტერესი იგივე ხალხის ინტერესებიაო, აქ ბევრი ჩვენგანი ვერავითარ შეცდომას ვერა ხედავს, თუმცა აქაც არის დიდი შეცდომა და იმგვარივე შეცდომა, როგორც ჩამოთვლილ მაგალითებში.

რა არის თავად-აზნაურობა? წოდება, ნაწილი ერისა; ამიტომ მისი ინტერესებიც წარმოადგენენ წოდებრივ ინტერესებს და არა ეროვნულს. რა არის ბურჟუაზია? კლასი, ნაწილი ერისა; ამიტომ მისი ინტერესებიც კლასობრივია და არა ეროვნული. რა არის პროლეტარიატი? კლასი ანუ ნაწილი ერისა. არც ერთ სახელმწიფოში პროლეტარიატი არ წარმოადგენს მთელი ერის უმრავლესობას და ამიტომ პროლეტარიატის დღევანდელ ინტერესებიც წარმოადგენენ კლასობრივ ინტერესებს და არა ეროვნულს. ყოველი თავისი ნაბიჯით, ყოველი თავისი მოქმედებით პროლეტარიატი იცავს უპირველესად თავის საკუთარ ინტერესს, საკუთარ კეთილდღეობას; მაგრამ საქმე იმაშია, რომ პროლეტარიატი წარმოადგენს ერის დაჩაგრულ, გაყვლეფილ ნაწილს და, თუმცა ის იბრძვის თვის საკუთარ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ თუ მან გაიმარჯვა, ეს მარტო პროლეტარიატის გამარჯვება კი არ იქნება,—ეს იქნება მთელი ხალხის, ყველა დაჩაგრულის გამარჯვება, თუ პროლეტარიატმა იხსნა თავისი თავი, ამით ის იხსნის მთელ ხალხს; თუ პროლეტარიატმა მტკიცე ნიადაგზე დაამყარა თვისი კეთილდღეობა, ამით ის მტკიცე ნიადაგს მოუპოვებს მთელი ხალხის კეთილდღეობასაც. ამიტომ ის მიზანი, რომლისკენაც ცხოვრება მიაქანებს პროლეტარიატს, წარმოადგენს მთელი ხალხის საერთო მიზანსაც. აქ პროლეტარიატის ზნეობრივ ფიზიონომიას კი არა აქვს ძალი დ მნიშვნელობა,—არც ერთი კლასი არ ხელმძღვანელობს თავის მოქმედების დროს ზნეობრივის მოსაზრებით, არამედ მხოლოდ საკუთარის სარგებლობით, ანუ ეკონომიურის მოსაზრებით,—თვით ცხოვრებამ ჩააყენა პროლეტარიატი იმ გვარ პირობებში და მდგომარეობაში, რომ პროლეტარიატი, რამდენათაც ის ემსახურება თვისი საბოლოო მიზნის—სოციალიზმის—განხორციელებას, ხალხის კეთილდღეობასაც ემსახურება ამით.

მიუხედავად ამისა, დიდი შეცდომა იქნება ვიფიქროთ, ვითომ პროლეტიატი ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ხალხზე ფიქრობდეს, ხალხისთვის ზრუნავდეს,—პროლეტარიატი, როგორც კლასი, უპირველესად თავისთვის ზრუნავს, თავის თავზე ფიქრობს; სოციალიზმი მომავალს ეკუთვნის, მომავლით კი მხოლოდ მაძღარი ცხოვრობს, პროლეტარიატს კი დღევანდელი დღე არა აქვს უზრუნველყოფილი და ამიტომ მას აქვს ბევრი მხოლოდ საკუთარი, მხოლოდ კლასობრივი მისწრაფება ანუ ინტერესი, ბევრი ისეთი რამ განსახორციელებელი და გასაკეთებელი, რაც პირდაპირ ხალხის კეთილდღეობას არ შეეხება. ამგვარად პროლეტარიატის მოქმედებას, მისწრაფებას ორი მხარე აქვს: კლასობრივი და ეროვნული. ამით განირჩევა პროლეტარიატი ყველა დანარჩენ კლასებისაგან.

აქედან თავის თავად ცხადია, რომ თუ პროლეტარიატსა და სხვა კლასებს ერთმანეთში საერთო არაფერი აქვთ, სამაგიეროდ პროლეტარიატსა და ხალხს ერთმანეთში ძალიან ბევრი აქვთ საერთო: რამდენადაც პროლეტარიატი თვის მოქმედებით ახორციელებს თავის საბოლოო მიზანს, იმდენად ის ემსახურება მთელი ხალხის ინტერესს, ის ამ დროს წარმოადგენს ეროვნულ კლასს.

თუ პროლეტარიატსა და ხალხს აქვთ ერთიმეორეში ბევრი რამ საერთო, ცხადია ამგვარივე საერთო ხიდი უნდა არსებობდეს იმ სხვადასხვა პარტიებს შორის, რომლებიც ხალხსა და პროლეტარიატს ემსახურებიან. პროლეტარიატი და ხალხი ერთი მეორის წინააღმდეგი, ერთი მეორის მტერი არ არის: მათ აქვთ თავთავისი საქმე, როგორც დავინახეთ, მაგრამ ამავე დროს აქვთ საერთო საქმეც; ამიტომ არც დემოკრატია და სოციალ-დემოკრატია არიან ერთი მეორის მტრები, თუ კი მათ საბოლოო მიზანი ერთნაირად ესმით. თუ ჩვენს ცხოვრებას ჩავუკვირდებით და ისე შევხედავთ ამ კითხვას, დავრწმუნდებით, რომ დემოკრატიას და სოციალ-დემოკრატიას ჩვენში გაცილებით მეტი აქვთ ერთი-მეორეში საერთო, ვიდრე საზღვარ-გარედ, და აი რატომ. ჩვენში არიან პროლეტარები, მაგრამ პროლეტარიატი ჩვენში ჯერჯერობით არ არსებობს,—ჩვენში არის მუშათა კლასი, მაგრამ მუშათა კლასი და პროლეტარიატი ერთი და იგივე არ არის. პროლეტარიატს სოფელთან ყოველგვარი კავშირი შეწყვეტილი აქვს, ის მიწას მოკლებულია, როგორც წარმოების საღსარს, და ფიზიკურ ძალის გაყიდვით ირჩენს თავს. ქართველ მუშათა კლასს კი მჭიდრო კავშირი აქვს სოფელთან; ის მიწის მესაკუთრეა ჯერ-ჯერობით; ქალაქში მოგებული ფულით ის სოფელში იუმჯობესებს თავის სახლკარს, თავის ცხოვრებას; ქართველ მუშათა კლასს ცალი ფეხი სოფელში უდგია, ცალი ქალაქში, ერთსა და იმავე დროს ის ქალაქში ქარხნის, ან სხვა დაწესებულების, მუშაც არის და სოფელში კი მიწის მესაკუთრეც და ამიტომ, თუ საინტერესოა მისთვის მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება, ამავე დროს საინტერესოა მისთვის გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებაც. რაც უფრო უკეთეს პირობებში იქნება ჩვენი მუშათა კლასი, მით უკეთესია ჩვენი სოფლისთვის და სამაგიეროდ, რაც უფრო უკეთეს პირობებში იქნება ჩაყენებული გლეხობა, მით უკეთესია ჩვენის მუშათა კლასისათვის. სასურველია ეს თუ არა, სასარგებლოა ეს, თუ არა საბოლოო მიზნისათვის, მე აქ ამას არ ვეხები ამჟამად; მე აქ მხოლოდ ფაქტი აღვნიშნე, ის ფაქტი, რომელიც დღეს ჩვენს ცხოვრებაში არსებობს და რომლის უარყოფაც შეუძლებელია.

მუშათა კლასი წარმოადგენს ჩვენი ხალხის ნაწილს, ეს ორი ნაწილი ერთმანერთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და, ცხოვრებას თუ ისინი ერთი-მეორისაგან არ მოუწყვეტია და არ დაუშორებია, არც ჩვენ უნდა დავაშოროთ. ამით მე იმის თქმა კი არ მინდა, რომ ეს ორი ნაწილი ერთი-ერთმანეთში აითქვიფოს, არამედ მხოლოდ იმისი, რომ მათ შორის მჭიდრო კავშირია და ეს მათმა იდეოლოგებმაც უნდა შეიგნონ, დეე, სოციალ-დემოკრატი იყოს სოციალ-დემოკრატი, დეე, მტკიცედ იცავდეს ის თავის პოზიციას და ტაქტიკას; დეე, დემოკრატი იყოს დემოკრატი,—მათ არ უნდა ავიწყდებოდეთ მხოლოდ, რომ ჩვენში მუშათა კლასი და ხალხი ერთმანეთთან დაკავშირებულია და ყოველი გამარჯვება მუშისა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, იგივე ხალხის გამარჯვებაა და ყოველი გამარჯვება ხალხისა, პირდაპირ თუ არა პირდაპირ, ხელს უწყობს მუშათა კლასის მიზნის განხორციელებას. საზღვარ-გარედ რომელისამე სოციალ-დემოკრატს, რომელიც პრაქტიკულ მოღვაწეობაშია ჩაბმული, შესაძლებელია სრულებითაც არ ახსოვდეს ხალხი და მისი ბედ-იღბალი: ის ემსახურება ერთ კლასს, პროლეტარიატს, რომელიც სოფელს სრულებით მოწყვეტილია, და ყოველ-დღიურ ცხოვრებაში იცავს ამ კლასის ინტერესებს. ჩვენში კი იგივე არ უნდა მოხდეს და, თუ მოხდა, შეცდომად უნდა იქმნეს აღიარებული: ჩვენში მუშათა კლასი სოფელთან დაკავშირებულია დღეს და ამიტომ შეუძლებლად მიმაჩნია, ვინმე მუშათა კლასზე ფიქრობდეს და ზრუნავდეს და ამავე დროს კი სოფელი არც კი ახსოვდეს, მუშათა კლასს ემსახურებოდეს და ამავე დროს კი სოფლის ჭირიც კი არა ჰქონდეს. ჩვენ ყველას ენაზე გვაკერია ისეთი მომავალი წყობილება, სადაც ხალხი უმწვერვალეს ბედნიერებასა და კეთილდღეობას მოიპოვებს. განა სასაცილო და სამწუხარო არ არის, ადამიანი ხალხის მომავალ ბედნიერებისათვის ზრუნავდეს და დღეს მცხოვრები ხალხის უბედურება კი გულს არ უკლავდეს?

ნათქვამიდან ცხადია, რომ ჩვენში შეუძლებელია ადამიანი მუშათა კლასს ემსახურებოდეს ისე, რომ ამავე დროს ხალხსაც არ ემსახურებოდეს, და ამიტომ ყველა იმ პარტიებს, რომელთა მიზანია მუშათა კლასისა და ხალხის სამსახური, ერთმანეთში ბევრი რამე აქვთ საერთო, და საერთო კითხვების გადასაწყვეტად და განსახორციელებლად უსათუოდ საჭიროა სოლიდარობა და მეტი პატივისცემა ერთმანეთისადმი. ყველასათვის ერთნაირად უნდა იყოს გამორკვეული ხალხის საჭიროებანი, ყველასათვის ერთნაირად უნდა იყოს გადაჭრილი გზა და საშუალებანი ამ საჭიროებათა განსახორციელებლად.

ჭკუა და ტაქტიკა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ერთი-მეორეს დავეჯიბროთ ისეთი კითხვების წამოყენებაში, რომელთა გადაწყვეტა შორეულ მომავალს ეკუთვნის, არამედ მხოლოდ იმაში, რომ ისეთი საჭიროებანი წამოვაყენოთ, რომელთა დაკმაყოფილებაც დღესვე არის საჭირო და შესაძლებელი და რომლებზედაც თვით ცხოვრება გვითითებს. რა შეადგენს დღეს სოფლის აუცილებელ საჭიროებას? მიწის სივიწროვე, განათლების, ჯანმრთელობის და მეურნეობის რიგიან ნიადაგზე დაყენება. ყველა ეს კითხვები თვით ცხოვრებამ წამოაყენა, ამიტომ მათი განხორციელება შესაძლებელიც არის, თუ რომ ყველა აქეთ მოვაქცევთ ჩვენს ყურადღებას; უმალ თვით გლეხმა მიგვითითა: აი ეს ამისრულეთ, თუ შეგიძლიანთ და ჩემთვის მართლა გული შეგტკივათ, და დღეს-დღეობით ამით დავკმაყოფილდებიო. ზოგიერთი კი სულ სხვას, მისთვის სრულიად გაუგებარს, აწვდის და გლეხსა აიძულებს, ძალათობითა მოიპოვოს ის, რაც მისთვის დღეს საჭიროა და ხელ-მისაწდომი.

ვიმეორებ, ყველა პარტიები, ყველა პროგრესიული წრეები საზოგადოებისა უნდა დაეხმაროს ჩვენს გლეხობას მისი საკუთარი მისწრაფების განხორციელებაში; ჩვენს გლეხს დღეს შიან უმიწობისა გამო და ამიტომ ჩვენ სიტყვით, წერით თუ საქმით უნდა მოვუპოვოთ მას ნადელი სრულ საკუთრებად, დავუბრუნოთ, რამდენადაც კი შესაძლებელია, ჩამონაჭრები, მოვუპოვოთ საკმაო საბალახე და ტყე უსასყიდლოდ და მემამულეთა მიწები ავაღებინოთ იმგვარ პირობებში, რომ გლეხი არ იყვლიფებოდეს ისე, როგორც აქამდე იყვლიფებოდა. ამაზე მეტის განხორციელება დღევანდელს პირობებში მე შეუძლოდ მიმაჩნია და თუ ამის აღსრულება შევძელით, ჯერ-ჯერობით ესეც წინ დიდი ნაბიჯის გადადგმა იქნება.

რადგანაც ხალხის განათლების, ჯანმრთელობისა და მეურნეობის საქმე მჭიდროდ არის დაკავშირებული ერობასთან, ამიტომ შემდეგ წერილში ერობას შევეხები.

ი. გომართელი.

* * *

წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრთა მომავალი საზოგადო კრება.

ჩვეულებრივად ყოველ წელს წერა-კითხვის საზოგადოების კრება იმართებოდა არა უგვიანეს შუა ივნისისა. წელს კრება შემოდგომისთვის გადაიდო. ეს დრო უკვე მოახლოვებულია და საზოგადო კრებაც, უეჭველია, მალე იქნება მოწვეული.

წლევანდელი საზოგადო კრება არ უნდა ემსგავსებოდეს გასული წლების კრებებს. მართალია, ის მიზანი, რომელიც საზოგადოებას დასახული აქვს თავის მოღვაწეობაში, არ შეცვლილა, მაგრამ დღეს ისეთი დრო დადგა, ისეთის სიძლიერით სცემს ცხოვრების მაჯა, რომ ახლა სხვანაირი მომზადება გვმართებს.

წერა-კითხვის საზოგადოება თავის არსებობის ოცდამეექვსე წელიწადში გადავიდა. დღემდის ჩვენი კულტურული ცხოვრება მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იყო. ხალხს ყოველი ღონისძიებით ეხშობოდა გზა თავისუფალი განვითარებისათვის. დევნა, შევიწროება, დამცირება და დაბრიყვება,—აი, რა ელობებოდა წინ ჩვენ ხალხს კულტურულ განვითარების გზაზე. ხალხის მიერ გაღებული ხარჯი ხალხისავე გონებრივ გასანადგურებლად იხარჯებოდა. ასეთ გარემოებას იგივე შედეგი მოაქვს, რაც საზოგადოდ ცხოვრების პირობებს—ყოველ ორგანიზმისათვის. საარსებო ბრძოლაში ორგანიზმს ორგვარი მერმისი აქვს წინ: დიდი ხნის ბრძოლა მას თანდათან ასუსტებს და დასასრულ სრულიად ჰგვის დედა-მიწის ზურგიდან,—ან ის შესაფერად ეგუება შეცვლილ პირობებს, იღებს შესაფერ ზომებს, რომ თავისი ვინაობა დაიცვას, თავის არსებობის პირობები ნორმალურად მოაწყოს,—იმარჯვებს ბრძოლაში და ამნაირად მომავლისთვის გზას იკაფავს. არც ერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას არ აქვს მომავალი, თუ ის არსებობისთვის ბრძოლაში არ აძლიერებს შემოქმედებით ძალას და თავის ნორმალურ განვითარების შემაფერხებელ პირობების დარღვევასთან ერთად ცხოველმყოფელობას არ იჩენს.

დღეს მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ახალ ხანაში შედის, ყველა ახალ ცხოვრებისთვის ემზადება; ერთი გატაცებით ემზადება მომავლისათვის, მეორე შიშით თავზარდაცემული მიელის მომავალ ცხოვრებას,—გული გასტეხია ხალხის გაღვიძებისაგან.

ის საგნები, რომელნიც წერა-კითხვის საზოგადოების მოქმედების ფარგალშია, დღეს მეტად დიდ მნიშვნელოვან საგნებად ჩაითვლება. საკმარისია ზერელედ გადავავლოთ თვალი ისტორიას, რომ შემდეგი მოვლენა შევნიშნოთ: არც ერთი საზოგადოებრივი მოძრაობა არ ყოფილა ისეთი, რომელსაც აღზრდის საქმისთვის ყურადღება არ მიექცია. ძლიერი საზოგადოებრივი მოძრაობა საზოგადოებრივ აღზრდის საქმეს ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა და ცდილობდა, ეს საქმე თავის მიზნის შესაფერად გარდაექმნა. წარმოუდგენელია ისეთი საზოგადოება, რომელიც გაფაციცებით თვალყურს არ ადევნებს აღზრდის საქმეს. ჩვენში დღეს არც ერთი ისეთი დაწესებულება არ მოიპოვება, რომელსაც რაოდენადმე მაინც შეეძლოს ჩვენი ხალხის სხვადასხვა ჯგუფის მისწრაფებანი გაგვაცნოს და ამნაირად ხალხის წადილი რაოდენადმე მაინც გამოარკვიოს აღზრდის საქმეში. წერა-კითხვის საზოგადოება ამ მხრივ ერთად-ერთი დაწესებულებაა, რომლის მოქმედება მთელ ქართველობაზე ვრცელდება. ის ვალდებული იყო საზოგადოებრივ მიმდინარეობისთვის ყურადღება მიექცია და აღზრდის საქმე, რამდენადაც კი შესაძლებელია, ჯეროვანად მოეწყო. წარმოუდგენელია რაიმე საზოგადო საქმის კეთილად მოწყობა, თუ ამ საქმეს თვით საზოგადოება ყურადღებით არ ეპყრობა. რას ვხედავთ დღეს ჩვენს ცხოვრებაში? როდესაც თვითონ მთავრობა ჩვენი სკოლების შეცვლაზე ფიქრობს, საზოგადოება სდუმს!.. არავინ იცის, რა სურს მას; არავინ იცის, რა იდეალები ასულდგმულებს ჩვენს ხალხს. განა შესაძლებელია ასეთ პირობებში რაიმე მომავლის შექმნა? ნუ თუ ჩვენში ჯერ კიდევ მოიპოვებიან პოლიტიკურად ჩვილი არსებანი, რომელთაც სხვისი იმედი აქვთ?

ჩემის აზრით, შეუძლებელია ასე თავის კულტურულ მერმისის აბუჩად აგდება,—საჭიროა მთელი ჩვენი საზოგადოება ეხლავე ჩაუფიქრდეს საქმეს და შეუდგეს საზოგადოებრივი აღზრდის მომავალ ორგანიზაციის გამორკვევას, და ამ საქმეს წერა-კითხვის საზოგადოება უნდა ჩაუდგეს

სათავეში. თუ აქამდის ასეთი ფორთხვა, როგორც ეს საზოგადოება ფორთხავდა, შესაწყნარებელი იყო რაიმე მხრივ, დღეს მისი გამართლება ყოვლად შეუძლებელია. საჭიროა საზოგადოების გამგეობამ ახლავე მიიღოს ჯეროვანი ზომები, საჭიროა დაანებოს თავი უმოქმედობას. წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი საზოგადოება საშიშ მდგომარეობაში ჩავარდება. არაფერი არაა ისე საფრთხილო რამე საზოგადოებრივ ორგანიზაციის არსებობისათვის, როგორც ცხოვრებისაგან ჩამორჩენა. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას ეს ჯერ თითქოს ვერ შეუგნია. დროა, გამგეობამ მძინარობას თავი დაანებოს, გამოფხიზლდეს და, სანამ გვიან არაა, გაიგოს ხალხის აზრი, შეუდგეს განათლების შესახებ კითხვების გამორკვევას...

პ. სურგულაძე.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

16 აგვისტო.

ვარშავა, 6 აგვისტო. ნოვომინის მაზრაში, სადაც ჩვეულებრივად ქურდებსა გზავნიან ხოლმე, გლეხები ამ ქურდების წინააღმდეგ ამხედრებულან და უთხოვნიათ, ან პატიოსნური ცხოვრება დაიწყეთ, ან არა და ამოგჟლეტავთო. შეტაკება მომხდარა. თერთმეტი ქურდი მოუკლავთ, რამდენიმე დაუჭრიათ. ქურდებს, როგორც ხმა დადის, ვარშავიდან მოუწვევიათ ამხანაგები, რომლებიც შურის საძიებლად შეიარაღებულები მოსულან. როდესაც გლეხებს ეს გაუგიათ, ცელებით შეიარაღებულან და ქურდების ამოსაჟლეტად დამზადებულან. ამ მაზრაში მცხოვრები მოაგარაკები გაქცეულან.—პოლონურ და საზღვარ-გარეთელ გაზეთების-მიერ გავრცელებული ხმები, ვითომც ჰენრიხ სენკევიჩს ვარშავიდან ითხოვენ, „ვარშავსკი დნევნიკ“-ის სიტყვით, სიმართლეს მოკლებულია.

რეველი, 16 აგვისტო. დღეს „პოტემკინ“-ის უფროსი აფიცერი გილიაროვსკი დაასაფლავეს.

ოდესა, 16 აგვისტო. ფრანგულ ბულვარზე, ბეკერის სახლში, ყუმბარა გასკდა. ძლიერ დაიჭრა სახლის პატრონი და ორი იმისი ვაჟი.

პეტერბურგი, 16 აგვისტო. უმთავრეს სამხედრო სასამართლოში გაირჩა საქმე რევოლუციონერების გალპერინის, ლანსკის და რივკა ფიალკის, რომელთაც ოდესის საოლქო სასამართლომ კაცებს ოცის წლით და ქალს 13 წლით და 4 თვით კატორღა გადაუწყვიტა. უმთავრეს სასამართლოს რეზოლუცია: პროკურორის პროტესტი, რომელიც დასჯილთა სიკვდილით დასჯას თხოულობდა, უყურადღებოდ დასტოვეს; საკასაციო თხოვნის თანახმად, გალპერინსა და ლანსკს სასჯელი 15 წლით შეუმსუბუქეს და ფიალკას—10 წლით.

პეტერბურგი. ურალის და თურგის ოლქების ყირგიზები კავალერიის გენერალის ჩინგიზხანის მეთაურობით პეტერგოფში ხელმწიფე იმპერატორს წარუდგნენ.

სიმფეროპოლი, 16 აგვისტო. სევასტოპოლში „გეორგი პობედონოსეც“-ის მატროსების საქმის გარჩევა უკვე დაიწყო. საქმე თვით ჯავშნიან გემზე ირჩევა. ბრალდებული 78 კაცია; მოწმედ ასი კაცია მოწვეული.

მინსკი, 16 აგვისტო. გაძლიერებულ დაცვის წესები მინსკს არ შეეხება.

ვილნა, 16 აგვისტო. რადგანაც გუშინ მობილიზაცია გამოცხადდა, გუბერნატორმა მცხოვრებლებს მიმართა და სთხოვა, წესიერება არ დაარღვიოთ.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 აგვისტო.

პეტერბურგი, 16 აგვისტო. კონფერენციის შემდეგ სხდომაზე კომურა ვიტტეს მისცემს ახალ წინადადებას, რომელიც უსათუოდ შეთანხმებამდე მიიყვანს. წინადადება ტოკიოში უკანასკნელ დროს შემუშავებულ ინსტრუქციებზე არის დამყარებული. პეტერბურგში დანამდვილებით გაუგიათ, რომ იაპონია კონტრიბუციაზე უარს ამბობსო.

ბერლინი, 16 აგვისტო. „ანცეიგერს“ ნიუ-იორკიდან ატყობინებენ, რომ რუზველტს ზავის შეკვრაზე სრულებით იმედი დაუკარგავსო.

პორტსმუტი, 16 აგვისტო. კონფერენციის სხდომა დილის ცხრა საათზე დაიწყო.

პორტსმუტი, 16 აგვისტო. კონფერენცია ყველა კითხვებში შეთანხმდა და ხელშეკრულობის შედგენას შეუდგა. იაპონელებმა რუსეთის ულტიმატუმი მიიღეს: კონტრიბუციაზე უარი სთქვეს, სახალინის ნახევარის დაბრუნებაზე დასთანხმდნენ; შორეულ-აღმოსავლეთში რუსეთის საზღვაო ძალების შემცირების საკითხშიაც დაუთმეს. უსათუოდ დროებითი ზავი შეიკვრება.

პეტერბურგი, 16 აგვისტო. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ლინევიჩისა 1905 წლის 15 აგვისტოს თარიღით: „ერდაგოუში გაგზავნილმა ჩვენმა რაზმმა 116 იაპონელი დაატყვევა. ამათ რიცხვში, 90 კაცი სრულებით ჯან-საღია, 26 კაცი კი დაჭრილია. რაზმს ექვსი კაცი დააკლდა.

პორტსმუტი, 15 აგვისტო. იმ ხმების გამო, ვითომც იაპონიამ უკონტრიბუციოდ ითხოვა ზავის შეკვრა, ერთს იაპონელს უთქვამს, ეს არც ისე გასაკვირველია, როგორც ერთის შეხედვითა სჩანსო. შეიძლება იაპონიამ ზავი ისე შეჰკრას, რომ მატერიალური დაკმაყოფილება არ მოითხოვოს, რადგანაც იაპონიის მთავრობის უმთავრეს საზრუნავს ხალხის ზნეობრივი კმაყოფილება შეადგენსო. კონფერენცია ოთხშაბათისთვის ტაკახირას თხოვნით გადაიდო. იაპონელები ამბობენ, რომ მათ ტოკიოდან ინსტრუქცია მიიღეს, მაგრამ ჯერ არ აქვეყნებენ, რადგანაც უკანასკნელი გარდაწყვეტილება ამ ინსტრუქციაში არ გამოიხატებაო. ხმა დადის, ვითომც კომურას ტოკიოდან მიუღია პასუხი და ხელშეკრულობის ახალი რედაქცია, რომელიც რუსეთს თამამად შეუძლიან მიიღოსო.

პორტსმუტი, 16 აგვისტო. როკფელერის წარმომადგენელი ვანდელიპი გუშინ პორტსმუტში მოვიდა. ამბობენ, ვიტტესთან ფინანსიურ საკითხებზე უნდა მოილაპარაკოსო.

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო. „ნიუ-იორკ-ტაიმს“-ის ცნობებით, რუსის ტყვეებს იაპონიაში არეულობა მოუხდენიათ, რადგანაც იაპონელებს იარაღის ტარება აუკრძალავთ. ტყვეები ამაზე არა სთანხმდებიან, რადგანაც მათს გადაცემის დროს იაპონელებს პირობა მიუციათ, რომ იარაღის ტარების ნებას მოგცემთო. რამდენჯერმე შეტაკებაც მოსვლიათ. კორესპონდენტი თავისით უმატებს, რომ ამ ინციდენტის გამო რუსეთი სახელმწიფოებს განსაკუთრებულ ნოტას გაუგზავნისო.

მოჯი, 14 აგვისტო. მზვერავთა სიტყვით, რუსები ტუმენის სამხრეთით არ შეებრძოლებიან; იქ იმათ ონლონგსა, სეიანგსა და ხერიანგში მხოლოდ პატარ-პატარა რაზმები ჰყავთ. ლინევიჩს უმთავრესი ძალები ფენგუასთანა ჰყავს. მეორე არმია და მიშჩენკო უფრო დასავლეთით იმყოფება.—როგორც ხმა დადის, კუროპატკინი სამსახურს თავს ანებებს.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4-ხე გვერდე).

ჟურნალ-გაზეთებიდან

გადიხდის თუ არა რუსეთი კონტრიბუციას? გუშინ პეტერბურგიდან კერძო ცნობა მოვიდა, ვითომ იაპონელებმა კონტრიბუციაზედაც უარი სთქვეს და სახალინის გამოსყიდვაზედაცა. იაპონია სახალინის ნახევარს რუსეთს უთმობს, ნახევარს კი—თვითონ იტოვებს. ზოგიერთ ფინანსისტების ანგარიშით სახალინის ნახევარი, სულ ცოტა, ერთი მილიარდი მანათი ღირს, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა—500 მილიონი, პორტ-არტური, ლიაოდუნი და იაპონელების მიერ დატყვევებული გემები და ავლა—1 მილიარდი; კონცესიები და დანარჩენი წვრილმანი—500 მილიონი, სულ—3 მილიარდი მანათი. ზემოხსენებული ცნობაც რომ მართალი გამოდგეს, რუსეთი მაინც 3 მილიარდ მანათად ღირებულ ქონებას უთმობს იაპონიას. ამას მიუმატეთ დაღუპულ ფლოტის ზარალი—500 მილიონი მანათი, ომის ხარჯი 2 მილიარდი და სხვა წვრილმანიც—500 მილიონ მანათისა, სულ გამოვა, რომ რუსეთს ფულად და ქონებად ეს ომი, სულ ცოტა, 6 მილიარდი მანათი მაინც დაუჯდა. (ნ. ო.).

იაპონელთა სათნოება. ერთი დაჭრილი და დატყვევებული რუსის მეზღვაური აფიცერი ტყვეობიდან იწერება: „იაპონიას საუცხოვო ექიმები ჰყავს. რომ იცოდეთ, რა რთულ ოპერაციებს აკეთებენ. ამ ექიმებმა ბევრი ისეთი დაჭრილი დააყენეს ფეხზე, რომელთაც საკუთარ ფეხებით სიარულის იმედი აღარ ჰქონდათ. ავადმყოფის მოვლა რუსეთის სათნოების დებმა იაპონელ ქალებისაგან უნდა ისწავლონ. ჩემ დღეში ვერ მოვიფიქრებდი, რომ შეიძლება ადამიანმა ისე გატაცებით და თავგამოდებით მოუაროს ავადმყოფს, როგორც იაპონელი ქალები გვივლიან. მე რომ ოპერაცია გამიკეთეს, იაპონელი ქალები დღე და ღამ არ მშორდებოდნენ. ბევრს საშინელი იარა აქვს, მაგრამ ისინი არაფერსაც არ ერიდებიან, თვითონვე დაჰბანენ, შეუხვევენ და მოუვლიან. ჩვენი ქალები კი ავადმყოფს მხოლოდ წყალსა და წამალს თუ მიაწოდებენ, თორემ იარას ახლოც არ მიეკარებიან. ჩემი დაჭრილი ამხანაგები და მეც ბედნიერები ვართ, რომ ასეთ მომვლელების ხელში ჩავარდით, თორემ ვინ იცის, რა დაგვემართებოდა. საზოგადოდ იაპონელები ძალიან ზრდილობიანი და კეთილშობილი ხალხია. იაპონიის აფიცრებიც ხშირად მოდიან, დაგვხედავენ ხოლმე, დაგველაპარაკებიან და ძალიან სწუხან, რომ ვიტანჯებით.

ღმერთმანი, იაპონელებისთანა კეთილშობილ მტრების ყოლა სასიამოვნოა, ბრძოლის დროს ვეფხვივით მარდები და ლომივით მამაცები არიან, ტყვეებს კი შვილივით უვლიან და სულ ივიწყებენ, რომ ტყვეები გუშინ იმათი მტრები იყვნენ. თუ ღმერთი გწამთ, ეს წერილი სადმე გაზეთში დაბეჭდეთ, დაე, გაიგოს ყველამ, რომ სტყუის ის, ვინც ამბობს, ვითომ იაპონელები ტყვეებს მხეცურად ეპყრობიანო (ნ. ვ.).

საინტერესო სტატისტიკა. „ბირჟ. ვედ“-ში დაბეჭდილია მეტად საინტერესო შედარება რუსეთისა და იაპონიის ხარჯებისა ფლოტსა და ჯარზე ათი წლის განმავლობაში—1894 წლიდან 1904 წლამდის.

ამ ათი წლის განმავლობაში რუსეთმა და იაპონიამ თავიანთ ჯარების მომზადება-შენახვაზე დახარჯეს:

	რუსეთის ხარჯი.	იაპონიის ხარჯი.
1894 წელს	280,4 მილ. მან.	10,4 მილ. მ.
1895 ,,	275,2 ,, ,,	10,0 ,, ,,
1896 ,,	294,3 ,, ,,	53,2 ,, ,,
1897 ,,	293,8 ,, ,,	60,1 ,, ,,
1898 ,,	303,3 ,, ,,	53,9 ,, ,,
1899 ,,	333,6 ,, ,,	52,6 ,, ,,
1900 ,,	331,5 ,, ,,	74,8 ,, ,,
1901 ,,	334,6 ,, ,,	58,3 ,, ,,
1902 ,,	343,1 ,, ,,	48,5 ,, ,,
1903 ,,	326,9 ,, ,,	42,2 ,, ,,
სულ დაიხარჯა 10 წლის განმავლობაში	3,129,1	365,0.

თუ 1898 წელს რუსეთში 127 მილ. მცხოვრებს ვიანგარიშებთ, იაპონიაში კი 43 მილიონს, გამოვა რომ ერთ სულზე რუსეთში მოვა 24 მან. და 46 კაპ. 10 წლის განმავლობაში, ე. ი. წელიწადში საშუალოდ 2 მ. და 44 კაპ. იაპონიაში კი 10 წლის განმავლობაში თითო სულზე მოვა 10 მ. და 64 კაპ. ერთ წელიწადში კი—1 მ. და 6 კაპ.

იმავე ხანში რუსეთმა და იაპონიამ ფლოტზე დახარჯეს:

	რუსეთი	იაპონია
1894 წელს	55,1 მილ. მ.	10,3 მილ. მ.
1895 ,,	57,1 ,, ,,	13,5 ,, ,,
1896 ,,	59,5 ,, ,,	20,1 ,, ,,
1897 ,,	85,3 ,, ,,	50,4 ,, ,,
1898 ,,	157,3 ,, ,,	58,5 ,, ,,
1899 ,,	83,6 ,, ,,	61,7 ,, ,,
1900 ,,	88,6 ,, ,,	58,3 ,, ,,
1901 ,,	93,0 ,, ,,	44,0 ,, ,,
1902 ,,	100,4 ,, ,,	36,4 ,, ,,
1903 ,,	116,2 ,, ,,	29,2 ,, ,,
სულ ათ წელიწადში	896,1	582,4.
ჯარზე	3,129,1	365,0.
სულ	4,025,2	947,4.

რუსეთს ჯარზე და ფლოტზე თითქმის ხუთჯერ მეტი დაუხარჯავს, ვიდრე იაპონიას. შედეგი კი პორტ-არტური, ვაფანგოუ-ლიაოიანი, შახე, მუკდენი და ცუსიმა გახლავთ (სლოვო).

ახალი ამბავი

✦ ტფილისის სამაზრო საერობო დაწესებულებაში **დეპუტატების არჩევნები დანიშნულია ამ თვის 26 აგვისტოს.**

✦ **ქართულ დრამატიულ საზოგადოებას** ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს ვლ. ალექსი-მესხიშვილთან, რომელიც დასში უნდა მოიწვიონ. ქართული რეპეტიციები 22 აგვისტოს დაიწყება თავად-აზნაურთა თეატრში.

✦ ხვალ, 19 აგვისტოს, შესრულდება 25 წელიწადი, რაც ტფილისის **მიხეილის საავადმყოფოში მსახურობს უფროს დოსტაქრად ექიმი ფრიდრიხ გუსტავის ძე როზენბაუმი.** ამის გამო ხვალ მისი ამხანაგები მის 25 წლის იუბილეის დღესასწაულობენ.

✦ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო **პალატის უფროსების კრება**, რომელიც ამ თვის 20-ში უნდა მომხდარიყო, **გადაიდო 23 აგვისტოსათვის.**

✦ ბაქოს მაჰმადიანებმა კავკასიის ნამესტნიკს დასამტკიცებლად წარუდგინეს **ორი ახლად შედგენილი წესდება**: „ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებისა“ და „მაჰმადიანთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“.

✦ მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა **გამგეობის უფროსად** ქუთაისში დ. ს. ს. პავლოვსკის მაგიერ **დაინიშნა დ. ს. ს. დავიდოვი.**

✦ ბეითალთა კრება დაიხურა, რადგანაც საკმაო **რიცხვი ბეითალთა არ გამოცხადდა.** კრება გადაიდო 21 აგვისტოსათვის.

✦ როგორც «ტფ. ლის.»-ს შეუტყვია, საქართველოს ეგზარხოსს უწმ. სინოდისაგან **უფლება მიენიჭა ადგილობრივ გადასწყვიტოს ის საკითხები,** რომელიც შეეხება ტფილისის სასულიერო სემინარიას და აგრეთვე ყველა დანარჩენ სასულიერო სასწავლებლებსა და საეკლესიო-სამრევლო სკოლებს.

✦ რადგანაც ტფილისის **საგუბერნიო და მეტეხის ციხეები ისე გაივსო სხვადასხვა დანაშაულებათა ჩამდენ ტუსაღებით,** რომ ტევა აღარ არის, კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე სულთან-კრიმ-გირეი დეპეშით შეეკითხა ციხეების მთავარ-გამგეობის უფროსს, შეიძლება თუ არა ერთი ნაწილი ტუსაღებისა მოსკოვის ციხეში გადავიყვანოთო (კავკაზი).

✦ გუშინ 17 აგვისტოს, ტფილისის საოლქო სამხედრო სასამართლომ განიხილა საქმე ბაშკადიკლიარის პოლკის ოფიცრის სულაქველიძისა, რომელსაც თვითნებობა ბრალდებოდა. სასამართლომ, დანაშაულის დაუმტკიცებლობისა გამო, **პრაპორშჩიკი სულაქველიძე** გაამართლა.

✦ როტშილდის საქმეების მთავარ მოურავის ფეიგლის ანგარიშით, ბაქოს ნავთის მწარმოებელთ მილიციის შენახვა წელიწადში 500,000 **მანათი დაუჯდებათ** (ნ. ჟ.).

✦ „ნოვ. ობოზრ.“-ს ბაქოდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „სამხედრო **სასამართლომ გაამართლა ოლანესიანცი და ჩარუხჩიანცი,** რომელთაც თავ. ნაკაშიძის მოკვლის განზრახვა ბრალდებოდათ. იცავდნენ ზარუდნი და ვორჟესკი. ზარუდნიმ ისეთი ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა, რომ მაყურებლები ატირდნენო.

✦ **ბორჯომში მეეტლების გაფიცვა გათავებულა.** ადმინისტრაციას ნომრების ფასი 40 მანათიდან 20 მანათზე დაუყვანია.

✦ კისლოვოდსკიდან ტფილისში **დაბრუნდა** კავკასიის ნამესტნიკის საპოლიციო ნაწილის უფროსი **გენერალი შირინკინი.**

✦ **ქალაქის გამგეობამ დაადგინა**: რადგანაც ძმ. ჯამგაროვების საკრედიტო დაწესებულება სესხს $6^{0}/_{0}$-ად იძლევა და არა შვიდ პროცენტად, როგორც ტფილისის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოება, გაუსწოროს მას ანგარიში და ამიერიდან სესხი ჯამგაროვებისაგან აიღოს ხოლმე.

✦ ტფილისის **ქალაქის გამგეობამ განიხილა** ავლაბარში საშობიარო თავშესაფარის დაარსების შესახებ საკითხი და დაადგინა: ახლავე გადასდოს ამ საქმის დასაწყობად 3 ათასი მანათი და თავშესაფარი მომავალ წლის პირველ იანვრისათვის დააარსოს.

✦ პარასკევს, 19 აგვისტოს, საგუბერნიო გამგეობასაგან დანიშნულ ტეხნიკოსთა **განსაკუთრებული კომისია დაათვალიერებს ავლაბრის ხიდებს,** რის შემდეგაც დაიწყება ელექტრონის ვაგონების წესიერი მოძრაობა რიყიდან ორთაჭალამდე.

ფელეტონი

თავისუფალი პრესსა.

ესეც თავისუფლება!

ნეტა რაღას მოიგონებენ, რაღას მოისურვებენ ჩვენი ენამჭევანი მწერლები!

აქამდე სულ იმას გაიძახოდნენ:

ცენზორი გვახრჩობს!

ცენზორი სულსა გვხუთავს!

ცენზორმა კრიჭა შეგვიკრა!

და სხ. მაშინაც კი ცენზორს აბრალებდნენ, როდესაც კალამი დავარდნილი ცხენივით უჩერდებოდათ, და რედაქტორს ქერსა სთხოვდნენ, მის ასამოძრავებლად.

მაინცა და მაინც არც აქამომდე ჰქონდათ რამე სათქმელი.

ყველაფერი ყველგან მშვიდად და წყნარად იყო: ჰაერში ფრინველები ფრინავდნენ, მიწაზე მხეცები დადიოდნენ, ბულბული მღეროდა, ბაყაყები ყიყინებდნენ და ასე ამგვარად მთელი სამყარო ერთს დიდებულს ჰიმნს წარმოადგენდა.

სიმშვიდე, სიწყნარე და კაცთა შორის სათნოება, აი რა ეწერა აქამდისაც და ახლაც ჩვენი ცხოვრების ბაირაღზე.

— არა, ჩვენ ქარიშხალი გვინდა, მძაფრი, სასტიკი. რომ სულ გუგუნი მიჰქონდეს გაზეთის ფურცლებზე.

— ბიჭო, ძმაო, ქარიშხალი გინდა და გადი სამგორის მინდორზე, სუ გულღვიძლს დაგიფათრავს. რა საჭიროა გაზეთის ფურცლებზე ელვა, მეხი, ტალღა, ზვირთი, ჯურღმული, უფსკრული ესენი ხომ ეშმაკების მოგონილია.

დიახ, ეშმაკეულია და შენ კი ვითარცა მირონცხებული და ნათელღებული უნდა ერიდო ამ გვარებს.

მაინცა და მაინცა, თავისუფლების ძალით, ახლა თამამად შეგიძლიან სწერო რაც თავში მოგივიდეს, თუ შენი თავი ნამდვილად შენია!

ხდება ხოლმე რომ კაცს თავი თავისი საკუთრება ჰგონია, ვინაიდან ამ ბაგაჟს თვითონ დათრევს, გამოდის კი, რომ ის სხვისა ყოფილა, სხვისა, როგორც ერთხელ და სამუდამოდ გაყიდული ვირი, რომელიც თქვენი მხოლოდ იმითაა, რომ თქვენს ბაგაზე აბია, თორე შეკაზმით სხვა ჰკაზმავს, შეჯდომით სხვა ჯდება, ჯირითში სხვას გეჯავს!

დიახ წერე რაც ამგვარ თავში მოგივა!

სწერე, რაც თვალით დაინახო. მაგრამ ფრთხილად კი, ვინაიდან შეიძლება მეტის-მეტ მხედველობას სიბრმავე მოჰყვეს. და დღისით დაწერილი საღამოთი ვეღარ იხილო ვერც შენ, ვერც მკითხველმა...

სწერე, რაც ყურით გაიგონო. მაგრამ აქაც ფრთხილად, თუ არ გინდა დაიჭიმოს ყურის ძირი, ბიბილო გაგეზარდოს, გაგიწითლდეს!

წერე, რაც გულზე მოგაწვეს, გულ-ბოყვში გამოგკრას, კინკიბოში ამოვარდეს, მაგრამ გახსოვდეს კი, რომ გული, გულ-ბოყვი და კინკიბო საყასბოს ბეითლის ბეჭედ დაკრული უნდა იყოს! მათი ბაზარზე გატანა უიმისოდ აკრძალულია!

გახსოვდეს, აგრეთვე, ეგრედ წოდებული «მუხლებიც».

ეს მუხლებიც ორგვარია. არიან „მუხლები“, რომელნიც გეწევიან წინ, როგორც პროგრესი. ეს ძრიელ ადვილად ხდება. ისე რაღა, ქვეშიდან „მუხლი“ და შენ, მიფრინავ წინ, წინ და წინ!

არის მეორე დარგის „მუხლებიც“, ესენი კი ქაღალდზე იწერებიან, თუმცა თვისი სიძლიერით არ ჩამოუვარდებიან პირველებს.

პირველნი ნათელნი არიან, აშკარანი და დაუმალავნი, მეორეებს კი ახლავე მოგახსენებთ.— შეგიძლიათ თქვენ თავისუფლად სწეროთ შემდეგის მუხლების ძალით:

1) ჯოჯოხეთში—სამოთხეზე.
2) ტარტაროზის მაგიერ—ანგელოზზე.
3) ცრემლის მაგიერ—ცის ნამზე.
4) კვნესის მაგიერ—მრავალ ჟამიერზე.
5) სველს წყალზე.
6) ცივს ყინვაზე.
7) ტკბილს თაფლზე.
8) თეთრს თოვლზე და სხვადასხვა ამგვარებზე.

აი რამდენად ფართოა თავისუფალ პრესის ქვეშ სამწერლო ასპარეზი!

დაჯექ, ჩაყავ კალამი საწერელში, ამოიღე და გაასეირნე ქაღალდზე. იმღერე და იმღერე მკითხველო, რა სჯობია მხიარულებას!

სწერე, ვიდრე არ დაიღლები, იმღერე ვიდრე გაზეთი არ გაივსება. შეასრულე ეს ორი სურვილი, მაშასადამე მიზანი მიღწეულია!

გაზეთი დაურიგდება მკითხველს, ჩვენს სათნოიან, ყოვლად მომთმენ მკითხველს.

მერე რა სიამოვნებით გადაშლის ისიც ფურცლებს, გადაშლის და გადაიხვევა. მოკვნეტილ ენაზე მღერის გაზეთი, მღერის მკითხველიც:

დათვი ხეზე როგორ ავა,
ჩვენო დათუნაო,
ფეხს შესდგამს და ისე ავა,
ჩვენო დათუნაო,
რა ტურფა ხარ, ჩემო კარგო,
ყურებ პარტყუნაო,
თავისუფალი პრესსა ხარ
ვინ დაგიწუნაო!

რატომ არ უნდა იმღეროს, სულ რაღაც გროშებზე ყიდულობს მთელს სამყაროს, მთელს ქვეყანას, ზის შინ და მოგზაურობს ამერიკაში, ფეხებში ბორკილი აქვს და მოგზაურობს საფრანგეთში, ტყობილობს რომ, ესპანიაში სულ გიჟები არიან, ტყობილობს, რომ აფრიკაში ველურებში სცხოვრობენ და მოკითხვას უთვლიან შორს მყოფთ მათგან, მათ მონათესავეებს, კითხულობს და უხარიან რომ გამოუჩნდნენ ნათესავები ჩვენს ქვეყანას.

მხოლოდ ეს კია, თვის სახელს ვერა პოულობს გაზეთში, ვერ გაუგია ვინ არის თვითონ, რა ქვია, ან მას, სადა ცხოვრობს ის, როდის დაღამდა, როდის თენდება და სხვა.

ან კი რა საჭიროა, თუ ღმერთი გწამთ, ამისი ცოდნა.

რა საჭიროა, მაგალითად ის, რომ ერთ კაცს თავში ქეცი შეეპარა და სკიპიდარი წაუსვეს.

რომ ბრმამ ცოლის სიკვდილი არ დაიჯერა ვიდრე ლოგინში ობლად არ დაწვა.

რომ იაკინთეს დიდიხანია კუჭი მოეშალა, მუცელზე ამ დღეებში დამპალი კლიონკა დაადეს მაგრამ მაინც ვერ გაიწმინა.

რა საჭიროა ვიცოდეთ რომ ერთს საყასბოში ათჯერ ატყავებენ ცხვრებს!

რომ პარიკმახერმა მეტის-მეტი გულმოდგინეობით თქვენ უმორჩილეს მონას ტვინიცკი შეუსწორა, შეუმოკლა, გაუშალაშინა!

რომ ქუჩაზე ვირები ტლინკებსა ჰყრიან!

რომ ბეღელში ბედაურები ქერს სჭამენ!

რომ შახ აბაზი კახეთში გადასული.

დიაღ, ყველა ეს ამაოა, წარმავალი, ფუჭი. მკითხველს მოაწოდე სასარგებლო:

1) ახალი კომბოსტო.
2) ახალი კართოფილი.
3) ახალი კიტრი და სხვა.

დეე იხაროს კუჭმა!

ანდა, აუჩემებიათ „განთიადიო“.

მტყუანს რა ვუთხრა, რომ თვით მწერალი ერთხელაც არ ამდგარა ადრე განთიადის დასასწრებლად.

არის „განთიადი“, რა „განთიადი!“

რაო, მაშ საღამო აღარაფერია?

ღამე?! მშვიდი, წყნარი, სასო-აღმძვრელი ღამე, შეზავებული საკმელის სუნით!

უყურებ და გული რაღაცნაირად, თავის თავად ლოცულობს, თითქოს მონასტერში ბერად შესულ! იჩოქებ და თაყვანსა სცემ განგების ძლიერებას!

რით, რითა სჯობია მას „განთიადი?“

ატეხილან კი, გინდა თუ არა „განთიადიო!“

სულელები! ის კი არ იციან, რომ განთიადი წითლად იღებება, რომ ხშირად ელავს და ქუხს განთიადის დროს.

განა შეიძლება ამისთანა სურათებით მშვიდი, ანგელოზი მკითხველის შეწუხება?

ერთიც ვნახოთ ის, ამ დროს, ცხართეძოზე წამოწოლილი ეალერსება თვის მეუღლეს ან დასტკბება გაზეთის მეთაურით, რომელიც თავდება სიტყვებით: „გვაკურთხე მამაო!“

შეაჭყიტა შენმა განთიადმა და წახდა ალერსი, აირია სტრიქონები, გაფუჭდა გუნება!

არა, ძამია, მკითხველს გაფრთხილება უნდა:

რამეთუ მწყემსმა კეთილმა არა წარწყმიდოს არცა ერთი ცხოვარი!

მაშ!

მაშ და ის, რომ, სული ყოველთვის ცხონებისკენ მიილტვის, პრესსამ გზა უნდა გაუკაფოს აქეთკენ:

ასწავლოს, რომ არა დაჯდეს დასაჯდომელსა უსჯულოთასა, არა მიუგდოს ყური ზრახვათა უღმრთოთასა, უწყალოს მას ღმერთმა მეთაურში დიდითა წყალობითა თვისითა, ფელეტონში სიხარულითა აღავსოს, ლექსში სიყვარულითა აღაგზნოს და გამოვიდა სამოთხე.

ტყუილია ის ძმაც, ვითომც:

შიშველს არ შეუძლიან თავისუფლად ტანსაცმელი ითხოვოს!

მშიერსო პური!

წამხდარ ქედს—მალამო!

მაშ რისთვის არის თავისუფლად გამოცემული და თავისუფლად რათ კითხულობენ:

„პური ჩვენი არსობისა, მოგვეც ჩვენ დღეს“.

მშიერ ვართ, გვაჭამეთ!

ტიტველ ვართ—შეგვმოსეთ!

ქედსა ზედა შენსა ხელი უფლისა არს!

მაშ ეს რაა?

პური გინდათ, თხოულობთ!

ტანისამოსი—თხოულობთ.

ქედი თქვენი ხელსა უფლისა არს!

ამაზე მეტი ანარხისტობა იქნებოდა!

შეიძლება შენ უწიგნო მკითხველი იყო?

არც მაგაზე დაღონდე!

ერთი კოდი პური, ათიოდ მანათი, სიკვდილში ხარჯი, სიცოცხლეში ზღვენი და ყოველსავე ზემოხსენებულს შენს მაგიერ სხვები ითხოვენ. შენ დადექ და მოისვენე თავისუფლად.

მათივე წყალობით, როცა გინდა მამა აბრამს ამოუდგები გვერდში.

ვის შეუძლიან დაგაკავოს. მაშ, პასპორტი ტყუილია?

მილული, ნახევრად ღია შუშის ფერი თვალები. გულზე დაკრეფილი ხელები, სიგძე სიგანეზე გაჭიმული ტანი, ხელში პასპორტი, მისდიხარ თავისუფლად, მიგიძღვიან წინ, მიგდევენ უკან. სამარეში ჩაგშვებენ და გასწი და გასწი თავისუფლად.

ბედნიერი ხარ თავისუფალო მკვდარო!

და ბედნიერი ხარ შენაც თავისუფალო პრესსავ!

მიგიძღვიან წინ, მოგდევენ უკან. ხელში გაქვს პასპორტი, გშვებენ ფოსტის ყუთში, მისდიხარ მკითხველთან სამოთხეში თაროზე, ბუზებთან, ზეწარი შენი ფრიად ხაზია—აბლაბუდე, სავანე შენი ფრიად მკვიდრაა—თარო.

ორივენი კმაყოფილნი ხართ. თავისუფალია მკითხველი შენგან, თავისუფალი ხარ შენ იმისგან. მან ნახა კბილები თაგვისა, შენ ნახე კვამლი პაპიროზისა. ერთი ტახტზე, მეორე თაროზე. ირგვლივ ყველაფერი მშვიდი და წყნარია ყველგან თავისუფლება, იძინე რამდენიც გინდა, იღიღინე, რამდენიც გსურეს. ორივე კმაყოფილნი ხართ და მეც თქვენთან ერთად დავიღიღინებ:

დათვი ხეზე როგორ გავა,
ჩვენო დათუნაო,
ფეხს შესდგამს და ისე ავა,
ჩვენო დათუნაო!

◆ სოფ. ახალ-ქალაქში (გორის მაზრა) **მისულა კომისია**, მაზრის უფროსის მოადგილის გოგოხიას თავმჯდომარეობით. კომისიას აზრად აქვს მოარიგოს ერთმანეთში მემამულენი და გლეხები.

◆ გუშინ, 17 აგვისტოს, ტფილისის დრ. სამხედრო გენერალ-გუბერნატორმა **იაცევიჩმა დაათვალიერა სადგურზე მდგარი პატრულები და ჯარის კამანდები.**

◆ კავკასიის სამხედრო-საოლქო შტაბის უფროსი გენერალი გრიაზნოვი კისლოვოდსკს გაემგზავრა.

◆ ამჟამად ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო გამგეობაში იკვლევენ პროექტსა და პლანს ახალ გზის გაყვანის შესახებ ბაქოდან როსტოვამდის პეტროვსკაზე.

◆ **სამშაბათს**, 16 აგვისტოს ქალაქის სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტებმა მეათე საპოლიციო უბანში, საშუალო აქციზის მიუცემლობის გამო, დაჰბეჭდეს აშ უბნის დუქნები და ბეჭდები დაასვეს, მაგრამ გუშინ, 17 აგვისტოს, აახლიეს ეს ბეჭდები და კვლავ ვაჭრობა დაიწყეს.

◆ სახალხო სკოლების დირექტორმა ნაძალადევის პირველ დაწყებით სკოლის გამგედ დანიშნა ნაძალადევის პირველ-დაწყებით სკოლაში ქ-ნი ს. გ. ყანდაუროვი, ნავთლუღისა—მ. რ. ვახვახიშვილისა, მეორე კუკიისა—ე. დ. ჩოლაყაშვილისა, ხოლო მეორე ვერის სკოლისა—ე. ტ. პაზი.

◆ 16 აგვისტოს საგუბერნიო ციხესთან დიდი უბედურება დატრიალდა: საღამოს 10 საათზე გუმბრის შოსეზე მთელი ფურგუნი, მგზავრებით დატვირთული, მოდიოდა სალოცავიდან. როცა ამ ციხესთან გადებულ ხიდზე შედგა ფურგუნი, ხიდი ჩატყდა და ხევში ჩაიღუნა. ასტყდა საშინელი წივილ-კივილი. 4 მგზავრი აქვე გარდაიცვალა, 3 მძიმედ დაშავდა და დანარჩენები მსუბუქად.

◆ დუშეთის მაზრის აზნაურმა დავით ივ. კეზელმა პოლიცმეისტერთან განაცხადა, რომ მისი 16 წლის შვილი გიორგი, მოწაფე საკომერციო სკოლისა, 31 ივნისიდან შინ აღარ დაბრუნებულა.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲠᲔᲞᲔᲠᲢᲣᲐᲠᲘ

ქართულ თეატრს და სცენას იმ თავითვე ემჩნეოდა ერთი ფრიად სახიფათო თვისება: გამოურკვევლობა და უსახიერობა, რომელიც წლითი-წლობამდე არ მოშორებია ქართულ თეატრს... ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეგ გამოურკვევლობა, ეგ უპიროვნება ლოღიკური შედეგია თვითონ თეატრის გამგებელთა და რეჟისორთა გამოურკვევლობისა, მათის მოუმზადებლობის და უცოდინარობისა... კაცი რომ რაიმე საქმეს იწყობს, უთუოდ უნდა იცოდეს, თუ რისთვის და რა სარგებლობისათვის იწყობს იგი ამ საქმეს...

ჩვენის სცენის გამგებლებს და რეჟისორებს მაინცდამაინც არაოდეს არ ჰქონიათ ნათლად გათვალისწინებული თავიანთი სურვილი და წადილი. საქმეს იწყებდნენ, როგორც შემთხვევა და გუნება უკარნახებდათ; თვითონაც არ ჰქონდათ გამორკვეული, რის თქმა ან გაკეთება შეეძლოთ... უეჭველია, ასეთს პირობებში, თითოოროოლა მაგალითს გარდა, ჩვენს თეატრს არ ჰქონდა და ვერც ექნებოდა მკაფიოდ გამორკვეული მიმართულება, თავისი საკუთარი ელფერი და ფიზიონომია.

ადვილად შესაძლებელია, რომ თეატრი არ იყოს ისეთი, როგორადაც თვით მას სურს, მაგრამ იგი თვითონ მაინც უნდა გრძნობდეს, თუ რა სწადიან. თეატრი თვითმყოფელი ორგანიზმია, შემოქმედებითი დაწესებულებაა და, თუ მას რაიმე სათქმელი აქვს, უეჭველია, ამ თქმისათვის საჭირო საგანი—ტემა (რეპერტუარი) უნდა გამოსძებნოს და იმ საგანის აღმსრულებელი ძალაც შეუფარდოს მის მხატვრულად გამოსახვას.

მართალია, ამ მხრივ ქართული თეატრი განსაკუთრებულ პირობებში იყო მომწყვდეული: მისთვის ძნელი იყო ყოველ წლიურად დასის შეცვლა და განახლება, მაგრამ რეპერტუარის გაუმჯობესობა, მისი გააზროვანება და გასაზოგადოებრივობა მუდამ მის ხელთ იყო და, თუ ამას ვერ ახერხებდა, ეს ან უცოდინარობით და მოუმზადებლობით მოსდიოდა, ან კიდევ ჩვეულებრივ, ქართველურ სიზანტითა და ხალევათობით. ჩვენის თეატრის რეპერტუარი ყოველთვის შემთხვევითი ხასიათისა იყო, ხოლო წინად განზრახული მოწესრიგება რეპერტუარისა სიზმრადაც არ მოსჩვენებიათ ქართულ თეატრის ბედ-იღბლის გამგებელთ: დალაგებულ და გათვალისწინებულ შრომა-მეცადინეობამ ადგილი დაუთმო ექსპრომტებსა და შემთხვევას...

სცენა კი მხოლოდ მაშინ არის საინტერესო და მიმზიდველი საზოგადოებისათვის, როცა ყოველ სეზონში იცვლება დასი და რეპერტუარიც, რადგან ერთისა და იმავეს გამუდმებული განმეორება ერთსა და იმავე მაყურებელთა წინაშე, რაც გინდ ნიჭიერად იყოს შესრულებული ეს განმეორება, თავის მომბეზრებელია საზოგადოებისათვის... მაგრამ ჩვენს სცენას კი, ძალიანაც რომ ნდომოდა, დასის გამოცვლა და განახლება არ შეეძლო. ამიტომ საჭირო ინტერესის გასაცხოველებლად საქმის გამგებელთ უნდა ეზრუნათ რეპერტუარზე, მის გაუმჯობესობასა და განახლებაზე.

ქართული თეატრის რეპერტუარი შესდგება სამ რიგი პიესებისაგან: ნათარგმნ, გადმოკეთებულ და ორიგინალ პიესებისაგან. პირველ რიგის პიესებზე იმის მეტს ვერას ვიტყვით, რომ თარგმანებში არავითარი სისტემა არა სჩანს,—ითარგმნება ყველაფერი, რაც კი ხელთ მოხვდებათ მთარგმნელებს და, სამწუხაროდ, მომეტებულ შემთხვევაში თარგმანები უხეიროდ არის შესრულებული და შეცდომებითაა გავსებული...

რაც შეეხება გადმოკეთებულ პიესებს, უნდა ვაღვიაროთ, რომ აქ უფრო მეტი სიცხოველე და სხვადასხვაობა ემჩნევა რეპერტუარს, თუმცა აქაც სამწუხაროდ, მომეტებული ნაწილი აჩქარებით არის შესრულებული. მეტად ხშირია ისეთი პიესები, რომელშიაც გადმოკეთებულია მხოლოდ მომქმედი პირების სახელები, დანარჩენი კი პირდაპირ ნათარგმნია ისიც უგემურად... რამდენადაც ჩვენ ვიცით, თეატრის გამგებელნი გადმოკეთებულ პიესებს ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას; ამგვარ პიესების შესახებ არავითარი გამორკვეული აზრი არ ჰქონიათ და არავითარი წესისათვის არ დაუმორჩილებიათ, თუმცა, ჩვენის აზრით, გადმოკეთებული პიესები, მეტადრე კარგად და ხელოვნურად გადმოკეთებულები, ხშირად უფრო მეტის ყურადღების ღირსნი არიან და სასარგებლონიც, ვიდრე ზოგი „საკუთარი“ ქართული...

ორიგინალი პიესები მეტად მცირე რიცხოვანია და მომეტებული მათგანი ერთს ყალიბზეა გამოჭრილი. მთავარ ნიმუშად მიჩნეულია გ. ერისთავის და ზ. ანტონოვის უდედააზრო და უტენდენციო ზნეჩვეულებათა კომედიები. თითქმის მთელი ჩვენი ორიგინალი რეპერტუარი მათი წაბაძულობით არის შექმნილ-შეთხზული. არის აგრეთვე ისტორიული პიესები პატრიოტულ შინაარსისა, რომელთაც თავის დროზე შესაფერი სამსახური გაუწევია საზოგადოებისათვის...

პიესები კი თანამედროვე ცხოვრებიდან, ერთიორის გარდა, ჩვენს რეპერტუარში იშვიათს მოვლენას შეადგენენ. ორიგინალი პიესების ასეთ სიმცირეს და მათს უფერულობას ბევრი გარეშე მიზეზები აქვს, მაგრამ მაინც არა მცირე ბრალი ედება ქართულ თეატრის გამგებელთაც. საქმე ის არის, რომ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა,—არ ვიცით, იმიტომ რომ მიამეტებული ორიგინალი პიესები ძალზე მოისუსტებდნენ, თუ სხვა რამ მიზეზით,—შესაფერ ყურადღებას არ აქცევდა ამ მხარეს ჩვენის თეატრის კეთილდღეობისას.

მართალია, გამგეობა ხშირად აცხადებდა გაზეთებში პრემიებს საუკეთესო პიესების დასაჯილდოებლად. ნამეტნავად უკანასკნელ ათი-თორმეტი წლის განმავლობაში ძლიერ დაუხშირა განცხადებებს და თვით პრემიებიც სახარბიელო გახადა. მაგრამ მაგარი ის არის, რომ დრამატიული საზოგადოების 25 წლის არსებობაში მხოლოდ ორი მაგალითი იყო, რომ გამგეობას პიესა დაეჯილდოებინოს. ერთი ათ თუმნიანი პრემია მიუსაჯა აკაკი წერეთლის კომ. „კინტოს“, ხოლო, თექვსმეტის წლის შემდეგ, მეორე ათ თუმნიანი პრემიით „დააჯილდოვა“ დ. ნახუცრიშვილის ისტორ. დრამა „იანიჩარი“. ეგ იყო და ეგა. ამის მეტი პრემია გამგეობას არ გაუცია. რაოდენად მართებული იყო ხსენებულ ორი პიესის „დაჯილდოვება“, ეგ თავის დროზე უკვე მწერლობაშიაც საკმაოდ განიმარტა და დახასიათდა...

ეჭვი არ არის, გამგეობას სხვა პიესებზედაც ასე ადვილად რომ ეძლია პრემიები, როგორც ორს ზემოხსენებულ შემთხვევაში, და პიესების მეტ-ნაკლებობის დაფასებაში მეტი ლმობიერება და ნაკლები სისასტიკე გამოეჩინა,—რამაც ბევრნი დააფრთხო და განფანტა,—დღეს არა ერთი და ორი ორიგინალი პიესა იქნებოდა ქართულ რეპერტუარში...

მეტი სიფხიზლე და მეტი ცოდნაა საჭირო საპრემიო პიესების გარჩევის დროს. დამფასებელი „ჟიური“ უფრო დამოუკიდებელი, უფრო თავისუფალი და უფრო მეტის კომპეტენციით უნდა იყვეს აღჭურვილი. გამგეობამ მეტი ხელგაშლილობა, მეტი ცნობისმოყვარეობა და მეტი სიყვარული უნდა გამოიჩინოს პრემიების „დაჯილდოების“ დროს...

იშვიათად მოინახება, არა თუ ჩვენში, მსოფლიო მწერლობაშიაც, იმისთანა ავტორი, რომელმაც პირველადვე შესძლოს ყოველ მხრივ ხელოვნურ პიესის დაწერა. ავტორი, როგორც მსახიობიც, თანდათან ვითარდება, იწვრთნება და წინაურდება. და გამგეობის ზნეობრივი მოვალეობაა შექმნას ისეთი პირობები, რომ ეროვნულ დრამატურგიას შეეძლოს ზრდა, განვითარება და დაწინაურება. როგორც ბუნებაში, ისე ცხოვრებაში და ხელოვნებაში ნახტომები შეუძლებელია,—ევოლუციის კანონი თანდათანობაა. ჯერ პატარებიდან იწყებენ და მერე დიდებს ჰქმნიან...

ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ ა. ბენაშვილის „თელაველი ოტელოს“, დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“ და სხვას სცენაზე გამოსვლისათვის „პროტექციები“ დასჭირდა... ხოლო დაბეჭდილი პიესები დუტუ მეგრელისა, ვაჟა ფშაველასა, ილია პონტელისა, ი. ევდოშვილისა და სხვათა დღესაც თვალ დაჭყეტით მოელიან თეატრის კარების გაღებას და სცენის ხილვას...

ჩვენის ფიქრით, ახალის რეპერტუარის და განსაკუთრებით ორიგინალ და გადმოკეთებულ პიესების შესახებ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ახალს, უფრო სწოროსა და მართალს გზას უნდა დაადგეს...

სცენის მოყვარე.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

„რუს. სლოვოს“ ვარშავიდან ატყობინებენ: პოლონელი გაზეთები ირწმუნებიან, რომ სახელმწიფო სათათბიროს პირველ კრებას **განაპირა ქვეყნების დეპუტაციები არ დაესწრებიანო.**

◆ 16 აგვისტოს სევასტოპოლის სამხედრო საზღვაო სასამართლომ დაიწყო გარჩევა ჯავშნოსან „გიორგი პობედონოსცევ“-ის **აჯანყებულ მატროსების** საქმისა. ბრალდებული 75-ია, მოწმე 80 (რ. ს.).

◆ სიმფეროპოლის ქალაქის საბჭომ შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა და გაძლიერებულ დაცვის წესის გაუქმება სთხოვა, მაგრამ **სამინისტრომ უარი შეუთვალა,** ჯერ ადრეა, ხალხი არ დამშვიდებულაო (რ. ს.).

◆ ტირასპოლში, სადაც 30 ათასი მცხოვრებია, სახელმწიფო სათათბიროში დეპუტაციის **არჩევის უფლება** ეძლევა მხოლოდ 180 კაცს, ე. ი. თითქმის 200 კაციდან ერთს (რ. ს.).

◆ ოდესის სამხედრო სასამართლომ **უვადო კატორღა** გადაუწყვიტა ვინმე დრუის, რომელმაც პოლიციელს რევოლვერი ესროლა, მაგრამ ვერ მოარტყა (რ.).

◆ 8 აგვისტოს რიგაში **მოჰკლეს** პოლიციელი. მკვლელი მიიმალა (ნ. ქ.).

◆ სედლეცის გუბერნიაში 6 აგვისტოს **მოჰკლეს** საერობო დარაჯი. მკვლელი მიიმალა (ნ. ქ.).

◆ 8 აგვისტოს სედლეცში **მოჰკლეს** საერობო დარაჯი. მკლელი მიიმალა (ნ. ქ.).

◆ პეტერბურგის ქალაქის საბჭომ ცალკე სხდომა უძღვნა სახელმწიფო სათათბიროს დაარსებას და სხვათა შორის, დაადგინა: რათა სათათბირომ ხალხის ნდობა მოიპოვოს, საჭიროა გამოცხადებულ იქმნას პიროვნების ხელ-უხლებლობა და სიტყვასა, პრესსისა და კრებების თავისუფლება (რ. ვ.).

◆ მოსკოვის ქალაქის საბჭომაც მიიღო შესაფერი **რეზოლუცია სათათბიროს შესახებ** და დაადგინა: „ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ სახელმწიფო სათათბირო მხოლოდ მაშინ მიაღწევს თავის დანიშნულებას, როცა მთელ რუსეთს, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, მიენიჭება უმთავრესი მოქალაქობრივი უფლებანი და პიროვნების ხელუხლებლობა. საბჭოს იმედი აქვს, რომ არჩევნები საყოველთაო იქმნება“. ეს დადგენილება ქალაქის თავმა თავ. გოლიცინმა ხელმწიფე იმპერატორს უნდა წარუდგინოს.

◆ როგორც სახელმწიფო ბანკის უკანასკნელ ბალანსიდან სჩანს, 1 აგვისტოს, 1904 წელს რუსეთში ტრიალებდა 695 მილიონ მანათის ქაღალდის ფული. ერთი წლის შემდეგ, ე. ი. 1905 წ. 1 აგვისტოს ქაღალდის ფული ასულა 1030 მილიონ მანათამდე (პრ. ვეს.).

◆ მას შემდეგ, რაც ბალაშოვის „ხულიგან-პატრიოტებმა“ საერობო ექიმებს სცემეს, **ექიმები სამსახურიდან გავიდნენ** და ერობა უექიმოდ დარჩა. სარატოვის გუბერნატორმა რუსეთის ყველა ექიმების საყურადღებოდ გამოაცხადა, ბალაშოვის ერობას ექიმები უნდა და ვისაც სურს, მობძანდესო. მაგრამ ამიერიდან განთქმულ ბალაშოვში სამსახური აღარავის სურს. გუბერნატორს თანხმობა განუცხადა მხოლოდ ორმა ექიმმა (რ. ვ.).

◆ „ბერლინერ ტაგებლატ“-ის სიტყვით, 7 აგვისტოს ვარშავაში **პოლიცია წააწყდა აგიტატორების კრებას** და დააპატიმრა 27 კაცი. (რ. ვ.).

◆ ოფიციალური გაზეთი „ვარშ. დნევ.“ იუწყება: 30 ივლისს, 4 საათზე ქუჩაში მიმავალ სალდათებს ვიღაცამ **ორი ყუმბარა ესროლა.** მძიმედ დაიჭრა ოთხი სალდათი, მსუბუქად სამი მგზავრი. ამის შემდეგ ყოველ მხრიდან სალდათებს რევოლვერების სროლა დაუწყეს. ამ სალდათებს სხვა სალდათებიც მოეშველნენ და თოფის სროლა ასტეხეს. მეორე დღეს, გათენებამდის ქალაქში თოფის სროლა არ შეწყვეტილა. რამდენიმე სალდათი მოიკლა და დაიჭრა. დაჭრილ და მოკლულ მცხოვრებთა რიცხვი დიდია. ჟანდარმების უფროსსა და პოლიცმეისტერსაც ესროლეს რევოლვერები, მაგრამ ააცდინეს (რ. ვ.).

ᲒᲣᲠᲘᲐ

(შთაბეჭდილებანი)

გამოღვიძებულ გურიის ხალხს გაუსინჯავი არ დარჩენია არც ერთი მოვლენა თავის ცხოვრებისა. არც ერთი მხარე არ დაუტოვებია უყურადღებოდ. ყველაფერი ასწონ-დასწონა და თავისი პირუთვნელი მსჯავრი დასდო.

განსაკუთრებული ყურადღება დღეს გურულებს თავიანთ ზნეობრივ მხარეს მიაქციეს. მკითხველებმა უკვე იციან, როგორის სისასტიკით ებრძვიან გურულები ქურდობას, როგორ კრიჭაში უდგიან ავაზაკებს და ცდილობენ ყაჩაღობის ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრას. ამ დღეებში გურულებმა უკანასკნელი გაფთხილება გამოუცხადეს ამ „ხულიგნების“ და „ხუნხუზების“ ბრბოს. (ასე ეძახიან დღეს ყაჩაღებს გურიაში) „თუ არ გასწორდებულხართ, შემდეგ ჩვენ ვიცით, როგორც მოგექცევით“-ო!. გარდა ამისა, დიდის ყურადღებით იკვლევენ ქალების ზნეობრივ საფიქრზეს. დღეს, გურიაში ქალები იმავე უფლებებით არიან აღჭურვილნი, როგორც მამაკაცები. იმათაც ჰყავთ თავიანთი ასის-თავი, ათის-თავი და საზოგადოების წარმომადგენელი. ისინიც გამოდიან საჯარო კრებაზე და ამა თუ იმ საჭირ-ბოროტო კითხვების გარკვევაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ.

რა თქმა უნდა, თავდაპირველად ცოტა ეუცხოვათ ზოგიერთებს ქალების მამაკაცებთან გათანასწორება, მაგრამ თანდათან ყველა იგონებს ქალების ემანსიპაციის პრინციპს.

სხვათა შორის ერთ კრებაზე ვიღაცამ წამოიძახა:

— ჩემ ქალს კრებაში რა უნდა, შინ უნდა ეგდოს და ჭვავი მიცხოს, ქალი მონაა ჩემიო“.

— რას ამბობს მაი ვინცხაა, რას? ამდენხანს ოროვე მონა იყავით, ოროვეს გცემდნენ, ზურგზე ტყავს გაშპობდნენ; ეუიდდენ და ვინ იცის, რას არ ეიმობდნენ, ახლა შენ, პაწაი თავისუფლება რომ იშოვე, სხვაი გინდა დაჩაგრო? ის არ ჯობია, იმასაც იცოდეს, რაც ხდება ქვეყანაზე? მიუგო მეორემ ხალხიდან.

უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ დღევანდელ უუფლებო სახელმწიფოში ქალი ყველაზე დაჩაგრულია და

რა ტურფა ხარ, ჩემო კარგო.
ყურებ პარტყუნაო,
თავისუფალი პრესა ხარ
ვინ დაგიწუნაო.

ი. ევდოშვილი.

ᲰᲔᲜᲠᲘᲮ ᲡᲔᲜᲙᲔᲕᲘᲩᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘ.

ზოგიერთა მწერალი, ანუ პოეტი განხორციელებაა იმ ერისა, იმ ხალხისა, რომელსაც იგი უშობნია. იგი მატარებელია ერის უმთავრესს თვისებათა, მის გულისთქმა-მისწრაფებათა, იგი გამომთქმელია ნაციის ნატვრისა და აზრთა-დენისა.

ასეთ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის ჰენრიხ სენკევიჩი, ავტორი ცნობილის რომანებისა: „ცეცხლითა და მახვილითა“, „წარღვნა“, „პან ვოლოდიევსკი“, „უდოგმატო“ და სხვა. რა ენაზედაც უნდა ეწერნა სენკევიჩს, მაინც ყველა მიხვდებოდა, რომ იგი პოლონელია და ისიც უბრალო პოლონელი კი არა, არამედ—პოლონელი აზნაური, ტიპი ვარშაველ ლიტერატორისა და წარმომადგენელი ჩვენის დროის წარჩინებულ პოლონელთა.

როგორც ნამდვილი პოლონელი, იგი გატაცებული მოსიყვარულეა თავის სამშობლოისა, როგორც აზნაური მოტრფიალეა უცხოეთისა, როგორც ვარშაველი ლიტერატორი, ცოტა არ იყოს გულ-ზვიადი, თავმომწონე და ენა-მჭევრია. როგორც ჩვენი დროის წარჩინებული პოლონელი, იგი ზედმიწევნით მცოდნეა ხელოვნებისა და განათლებულ ქვეყნების გონებრივ მოძრაობისა.

მეცნიერულის განათლებითა და აღზრდით სენკევიჩი ყველა ამდროის თანამემამულეებზე მაღლა სდგას. ეს ასეც უნდა იყოს. მწერალი და მერე ისიც რომანისტი, ერთით იგივე მასწავლებელია, იგი მსაჯულია თავის თანამემამულეთა ყოფა-ცხოვრებისა. საკმარისი არ არის მწერალი კარგად იცნობდეს თავისს სამშობლოს. მან უნდა იცოდეს რამდენიმე უცხო ენა, რომ გაიცნოს სხვა ხალხთა ცხოვრებაც, იგი უნდა მოგზაურობდეს კიდეც, რომ თავისს თვალითა ნახოს უცხო ხალხთა ავ-კარგი. გარდა ამისა, რადგანაც ჩვენი დროის მწერალი ამავე დროს მხატვარიც უნდა იყოს, თავის კერძო ცხოვრებით თუ სხვასთან ურთიერთობის დროს, იგი ისე უნდა იქცეოდეს, როგორც შეეფერება განათლებულ ადამიანს.

სწორედ ასეთ მწერალთაგანია ჰენრიხ სენკევიჩი.

1878 წელს, როდესაც იგი ამერიკაში გაემგზავრა „გაზეტა პოლსკა“-ს კორესპონდენტად, სენკევიჩი ახალგაზრდა, უბრალო ჟურნალისტი იყო. ფრანგული და გერმანული ენა საყველპუროდ იცოდა. ინგლისურისა კი არაფერი არ ესმოდა. როდესაც თავისს პირველ კორესპონდენციებში ინგლისურის სიტყვებისა და წინადადების ხმარება დაიწყო, ვარშაველმა ლიტერატორებმა სიცილი დააყარეს: „უნდა გვაჩვენოს, რომ ინგლისურსა სწავლობსო“, მართლადაც სენკევიჩი გულმოდგინედ შეუდგა ინგლისურის ენის შესწავლას და მალე ზედ-მიწევნითაც შეისწავლა არა თუ ენა, თვით ყოფა-ცხოვრებაც კი ჩრდილო-ამერიკელთა.

ჩრდილო-ამერიკაში სენკევიჩმა სამ წელს დაჰყო და მერე კალიფორნიაში გადავიდა. აქ მან შეისწავლა ესპანური ენა და ესპანელთა ცხოვრება.

სენკევიჩის-მიერ ამერიკიდან მონაწერი პირველი კორესპონდენციები მაინც და მაინც დიდი რამ არ არის. მათში ზერელადაა აღწერილი ამერიკელთა ცხოვრება, მაგრამ დაწერილნი არიან გატაცებით, მჭევრ-მეტყველურად და მკითხველს იზიდავს.

როგორც ფრანგები და იმერლები, პოლონელებიც ჩქარი მოლაპარაკენი არიან. ჩქარა მოლაპარაკე კაცი კი სცდილობს ლამაზად, მჭევრმეტყველურად გამოსთქვას სიტყვა. სიტყვების ძებნაში იგი ცოტად აფერადებს თავისს ნათქვამს, აჭარბებს, ანუ მდაბიურად რომ ვსთქვათ, ცოტა არ იყოს, სტყუის კიდეც. ჩქარა ნათქვამ სიცრუეს ლიტერატურაში „გაზვიადება“ ეწოდება. ასეთ „გაზვიადებულ“ მწერლად ფრანგებში დიუმა-მამა ითვლება, ის დიუმა-მამა, რომელსაც ოცდაოთხ საათში შეეძლო სამას გვერდიანი რომანი დაეწერა და მერე როგორი რომანი! თუ ერთხელ დაიწყეთ კითხვა, ამ გაზვიადებაზე აშენებულ წიგნს ხელიდან ვეღარ გააგდებთ, ვინაიდან დიუმა-მამა დიდის ხელოვნებით „აზვიადებს“ თავის ამბავს.

როდესაც სენკევიჩის ამერიკაში დაწერილ მოთხრობებსა კითხულობთ, თქვენდა უნებურად გახსენდებათ დიუმა-მამა, მაგრამ ცოცხალი ენა, იუმორი და მოსწრებული სიტყვები ჰფარავენ სენკევიჩის გაზვიადებას. ამ პირველ მოთხრობებშივე სჩანს, რომ სენკევიჩი ნამდვილი პოლონელია, რომ იგი მატარებელია ნაციონალურ თვისებათა. თუ პოლონელი გრძნობს, რომ იგი სასიამოვნო მომთხრობელია, თუ კი იცის, რომ მას კითხულობენ, მაშინვე სადავეს მიუშვებს თავის ფანტაზიას და ნამდვილსა და შეთხზულს ამბავს ერთმანეთში აურევს.

სენკევიჩიც მალე მიხვდა, რომ იგი მოსწონთ როგორც მოთხრობების მწერალი, მას კითხულობენ, და თავის მდიდარ ფანტაზიის ფრთები უფრო შეასხა. მისი პირველი ნაწერები ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ „ნახშირით დაწერილი ესკიზები“ და „ბარტეკ ძლევამოსილი“ მეტისმეტად გაზვიადებული მოთხრობებია, მაგრამ ავტორის ისეთი გულთბილობა და გრძნობაა ჩაქსოვილი ამ მოთხრობებში, რომ მოთხრობათა გაზვიადება მკითხველს სავსებით ავიწყდება.

გულთბილობა თვისებაა პოლონელებისა, ნამეტნავად პოლონელ ქალებისა, რომლებიც გულის სიმდიდრით ბევრ სხვა ერის ქალებს აჭარბებენ. პოლონელი ქალები თითონვე ამბობენ რომ მათ „განათლებული გული აქვთ.“ და მართლადაც გულ-თბილობა თვალსაჩინო თვისებაა პოლონელ ქალთა. უნდა ნახოთ, როგორის გატაცებით, როგორის გრძნობით გელაპარაკებათ განათლებული პოლონელი ქალი მიცკევიჩისა, კრასინსკისა ანუ სლოვაცკის ლექსების შესახებ. ბევრი პოეტი ვერ მოგიყვებათ ასეთის გატაცებით, ასეთის აღფრთოვანებით. თქვენც ყურს უგდებთ მის მოთხრობას, მის ლამაზ-ლამაზ გრძნობიერ სიტყვებს და გავიწყდებათ, რომ იგი, ცოტა არ იყოს, აჭარბებს, აზვიადებს.

ასეთივე გაზვიადებულ-გადაჭარბებულია სენკევიჩის „იანკო მევიოლინე“ და „მოხუცი მოსამსახურე“. მარტო ნამდვილ პოეტს თუ შეუძლიან ასეთი აღფრთოვანება, მაგრამ კრიტიკოსი მაინც იძულებულია აღიაროს, რომ ამ მოთხრობებში უფრო მეტი გრძნობაა, ვიდრე ცხოვრების სინამდვილე.

პოლონელი გხიბლავთ გრძნობით, გერმანელი კი ლოღიკით.

„მოხუც მოსამსახურეში“ სენკევიჩმა პირველად მიჰყო ხელი სამშობლო ცხოვრების აღწერას. აქ აღწერილია ძველი სახლი პოლონელ აზნაურისა, თვით ტიპი ამ აზნაურისა, რომელიც განათლების მეოხებით ახლა თანდათან ჰქრება, მაგრამ აღწერილია ისე ლამაზად, ისე კოხტად და ისეთის გრძნობით, რომ თქვენ წინ ნათლად იხატება „ამ ძველის სახლის მდგმურთა“ ვინაობა.

ამ მოთხრობის დაწერის შემდეგ, სენკევიჩი შეუდგა ისტორიულ რომანების წერას. რამდენიმე მოზრდილ მოთხრობაში სენკევიჩმა დიდებულად დაასურათხატა პოლონელების წარსული და მათი ომები შვეციელებთანა და კაზაკებთან („ცეცხლითა და მახვილითა“, „პან ვოლოდიევსკი“, „წარღვნა“).

ძნელი სათქმელია, რამდენად მართალია, რამდენად სწორედ დაახასიათა სენკევიჩმა იმ გმირების სულის კვეთება, რომლებიც ამ სამასი წლის წინად ცხოვრობდნენ, მაგრამ, ვიცით რა პოლონეთის ისტორია და ვუდარებთ რა სენკევიჩის მოთხრობებს, ძალაუნებურად ვამბობთ: „მაინც და მაინც სენკევიჩზე უკეთესად ვერავინ ვერ დაახასიათებდა მაშინდელ ცხოვრებას, მაშინდელ მცხოვრებთა გულის-თქმასაო“.

სენკევიჩი დიდებული მხატვარია, მის-მიერ გმირთა დასურათება განსაცვიფრებელია. რაც კი უნდა დახატოს: სარდალი თუ აზნაური, გლეხი თუ ნახევრად ველური იმ დროის ჯარის კაცი, თითოეული მათგანი ცოცხლად გიდგებათ თვალწინ მთელის თავის ნაკლ-ღირსებით, მთელის თავის განსაკუთრებულის თვისებებით. ჩვენ ვხედავთ მათ სასახლეებში, ვხედავთ ქოხებში, ვხედავთ ბრძოლის დროს, ვხედავთ ქორწილსა და მწუხარებაში, მაგრამ ყველგან და ყოველთვის ისე შესანიშნავად არიან აღწერილნი, რომ მზადა ხართ ზოგიერთი ადგილები რომანისა ხელ-ახლავ გადაიკითხოთ, რომ კვლავ დასტკბეთ დიადის აღწერილობით.

სიამაყე, დიდების-მოყვარეობა, გაიძვერობა თუ თავმოყვარეობა პოლონელ დიდებულთა შესანიშნავადაა აქვს სენკევიჩს დახატული. უფრო მორცხვნი და კდემა-მოსილნი გამოჰყავს პოლონელი ქალები. შეიძლება მე-16—17 საუკუნეში მართლადაც ისეთები იყვნენ ეს ქალები, რადგანაც იმ დროს პოლონელი ქალები სახლებში იყვნენ ჩამწყვდეულნი.

თავისს დიდრონ მოთხრობებშიაც სენკევიჩი ფრთებს არ უკრავს თავის ფანტაზიას; პირ-იქით ისეთი ალვირ-ახსნილია მისი ფანტაზია, რომ ხშირად ნაამბობი არ გჯერათ, რადგან უცნაური და დაუჯერებელი გეჩვენებათ. მისი საყვარელი გმირი ზაგლობა რაღაც საკვირველმომქმედელი, რაღაც გმირთა-გმირია, მაგრამ ეს კიდევ ამბავი ება, ვინაიდან ბატონი ზაგლობა თავიდამ მოგითხრობს [illegible]. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ იგი არ ბეჟნა, მკვეხარა და ცრუა. იგი მხიარული კაცია, უყვარს ლხინი და ქეიფი, [illegible] ჩხუბი, ნადირობა, მაგრამ ყველაზე ძლიერ კი უყვარს ქალები. [illegible] და, როდესაც [illegible] ლი [illegible] სახებ [illegible].

ბ-ნ ზაგლობის მსგავსი პოლონეთში ბევრი შეგხვდებათ. შეგხვდებათ იგი ვარშავაშიაც, საზოგადოების ყველა ნაწილში. ზაგლობის პოლონეთში არაოდეს არ მოსჩანდნენ. იგინი კარგი მეგობრები არიან, სანამ ფხიზელი არიან, კარგ გუნებაზე ბრძანდებიან, მაგრამ, თუ მთვრალი ან გაჯავრებული, მაშინ კი მოშორდით, თორემ ერთ ხათაბალას აგიტეხენ. ზაგლობის ხუმრობა, მასხარად აგდება არ უყვარს!..

გარდა ამისა რომ ზაგლობას უყვარს ქალები, ღვინო და ხმაურობა, იგი დიდი მოტრფიალეა ყვედრობისა, ბაქიობისა. მთელი დღე აღელვებულ ენას, გიამბობთ ისეთ ამბებს, ისეთ სისწრაფით, რომ [illegible].

აი ეს ტიპი, რომელიც ერთით შექსპირის ფალსტაფს წააგავს, სენკევიჩმა დიდის ხელოვნებით დახატა, [illegible] ტიპი [illegible] თანამედროვე [illegible] მორა!

თავის ისტორიულ რომანების წერის წინად სენკევიჩი [illegible] მოგზაურობს, სწავლობს, ადგილობრივ ხალხის ცხოვრებას. მან მოიარა გერმანია, ავსტრია, საფრანგეთი, იტალია, სადაც შეისწავლა არა თუ თანამედროვე ცხოვრება იტალიელებისა, არამედ ძველი მხატვრობა-იქ [illegible] საბერძნეთში, ეგვიპტეში და აფრიკაში. ზოგიერთი [illegible] იგი ცხოვრობდა ხოლმე [illegible] მთაში, სამ-

დღეს თუ ვისმე კი ეშველება რამე, ქალსაც უნდა ეშველოსო.

ქალების საქმის მოწყობა ძლიერ შეაფერხა ვიღაც „ვაჟბატონის" ქადაგებამ. უთქვამს: ქალები დილით ცხრა საათზე უნდა ადგნენ, საღამოს კი მუშაობას რვაზე უნდა აუშვან ხელიო. თუ რვა საათზე ჩაკრული ჯადი არ არის არეკილი (ამოღებული კეციდან), იმ შემთხვევაში ჯადი ქმარმა უნდა არეკოსო. დილით ქალებმა რძიანი ჩაი უნდა მოითხოვონ ქმრებისგან და შვილების გაზრდისთვის ფულიო.

ამ „არამკითხე ვაჟბატონმა" ბევრი უვიცი შეიყვანა შეცდომაში, მაგრამ ხალხმა მას მალე გაუგო და შესაფერად დასაჯა დამნაშავე მოქადაგე. ამ ინციდენტის შემდეგ საქმე უფრო კარგად მიდის.

დიდი ზნეობრივი გავლენა იქონია დედების შეგნებულმა მოქმედებამ ბავშვებზედაც. იმათაც მიბაძეს უფროსებს და კრებას კრებაზე მართავენ. მკითხველებმა უკვე იციან, რომ ბავშვებსაც ჰყავთ თავიანთი ასის-თავები, ათის-თავები და საზოგადოების წარმომადგენლები. ასეთ კრებებზე უმთავრესად ქურდების საქმე ირჩევა: ვინც კიტრი, ნესვი, ხაპი (კვახი) მოიპარა, ყველას აქ ასამართლებენ.

თუმცა კონსპირაციას ბავშვები ძლიერ სასტიკათ იცავენ და მის დამრღვეველს მძიმედ სჯიან მაგრამ რაღაც მეოხებით ერთს მათ კრებას შორი ახლოდან ყური დავუგდე.

შეკრებილან ორმოცამდე ათი-თორმეტი წლის ბავშვი. მათ შორის ზის თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ბავშვი (ეს მათი ასის-თავი უნდა იყოს) ასამართლებენ ერთს ამხანაგთაგანს, რომელსაც შემდეგი საქმე ბრალდება:

ერთი დედაბერი მინავალა ოზურგეთში. მდინარე ჟუჟუის პირში დედაკაცს გაუხდია ძველი წუღები და ბუჩქებში დაუმალავს, ხოლო ახალით ქალაქში შესულა. დამნაშავეს ამისთვის უთვალთვალებია, წუღები მოუპარავს და სადღაც გადაუგდია. გარდა ამისა ამავე ბრალდებულს ედებოდა მეზობლისას კიტრის ქურდობა. კრებამ დამნაშავეს დაჩოქება და ბოდიშის მოხდა მიუსაჯა. დამნაშავე გაძალდა: არ დავიჩოქებ, თუნდ მომკლათო! ამ დროს თავმჯდომარემ გააფთხილა ბრალდებული: კრებას დიდი ძალა აქვს, თავისას მაინც გაიტანს, ნუ გაძალდებიო. ამ სიტყვებმა იმოქმედეს დამნაშავეზე. ის მორცხვად დაეშვა მუხლებზე და კრების წინაშე ბოდიში მოიხადა. —აი, ასე, აწი აღარ გაბედო ქურდობა, თვარა დღეს კიტრს მეოპარავ, ხვალე, კვერცხს, ხვე ქათამს და შემდეგ არც ძროხას დაზოგავო!—გააფრთხილა თავმჯდომარემ.

მეორე დამნაშავე კრების საიდუმლოების დარღვევისთვის დასაჯეს; როგორც გამოირკვა, ერთს ამხანაგთაგანს უფროსებში გაუმხილა, თუ ვინც უვლდათ მათ ასის თავად.

— ბიჭო. მაი როგორ არ გცხვენია, ენაზე არა დაგადგება. არ გახსოვს, რომ უფროსები უწინ კრებაზე არ გვიკარებდნენ: რა თქვენი საქმეაო? ახლა ჩვენც ისე უნდა მოვიქცეთ. ამიტომ, ამხანაგებო, დასაჯოს იონაიბური-ძე. რას იტყვით ამაზე?

— დაისაჯოს, სხვა ჭკუას ისწავლის! იგრიალეს ბავშვებმა.

— აბა, იცოდეთ იონაი ვედარ გამუა ჩვენთა სათამაშოში. თუ შევიტყობთ, რომ გასწორდა, მაშინ ქი მივიღებთ ისთევლე! გესმით, ამხანაგებო?

— რავა არ გვესმის?

— აბა, იონაი წევიდეს ახლა ჩვენი წრიდან, აქ სხვა საქმეებიც გვაქვს გასარჩევი და იგი ვერ უყურებს! გამოაცხადა თავმჯდომარემ, პატარა იონაი დამორჩილდა კრების გადაწყვეტილებას და თავდადღუნული განშორდა.

მესამე დამნაშავეს ერთი ამხანაგისთვის სიტყვიერ შეურაცხოფის მიყენება ბრალდებოდა, დამნაშავემ თავი დამნაშავედ აღიარა, ამიტომაც მხოლოდ ბოდიშის მოხდით განათავისუფლეს.

შემდეგ მოილაპარაკეს „კასის" შესახებ, ამ კასაში თითოს თვეში თითო შაური შეაქვს სხვადასხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. თავმჯდომარემ გამოაცხადა სია იმ პირთა, რომელთაც ფული არ შეუტანიათ და ამას შემდეგ ბავშვები დაიშალნენ.

უმზერ ამ ბავშთა კრებას და გაგონდება დიდებულ პესტალოცის სიტყვები; „ბავშის გული დაფაა, რასაც დასწერ წაუშლელად დარჩებაო!"-ო.

გურულ ბავშვებსაც წაუშლელად რჩებათ გულში ყოველივე ის, რასაც დიდების წრეში ამჩნევენ, და შემდეგ შეგნებულად და გარკვევით თავის წრეში გადააქვთ.

მ. მაკ—თელი.

სასამართლო

ბაქოს გუბერნატორის, თავ. მ. ა. ნაკაშიძის მოკვლის საქმე.

დღეს, ბაქოში სამხედრო ოლქის სასამართლოში ირჩევა ბაქოს ყოფილ გუბერნატორის თავ. ნაკაშიძის მოკვლის საქმე. ქვევით მოგვყავს საბრალმდებულო თქმი:

მიმდინარე წლის 11 მაისს, ნაშუადღევის სამს საათზე, ბაქოს გუბერნატორი, თავ. მ. ა. ნაკაშიძე, ესაულის ზაქარია თაყაიშვილის თანახლებით, ეტლით, ქ. ბაქოში, ვორონცოვის ქუჩაზე მიდიოდა. როდესაც ეტლმა ვორონცოვის ქუჩიდან გაუხვია და კუშნარევის მაღაზიას დაუპირდაპირდა, ეტლს ესროლეს ყუმბარა, რომელმაც თავადი ნაკაშიძე, ესაული თაყაიშვილი და კუშნარევის მაღაზიასთან მდგომი სპარსეთის ქვეშევრდომები: მეშადი კასიმ-ალი-ოღლი და ჰასან-კულამ-მირზა-ოღლი მოჰკლა, მეეტლე მაშადი-კასუმ-ალი-ოღლი 10—15 ნაბიჯზე გადისროლა და ველიკოკნიაჟევსკის ქუჩაზე საშინლად დასახიჩრებული იპოვეს. მეეტლე 18 მაისს გარდაიცვალა. ამ საქმის გამოძიებამ შემდეგი გამოარკვია: სტრელკოვმა დაამოწმა, რომ თავ. ნაკაშიძის მოკვლის დღეს, საღამოს შვიდს საათზე, მალაკნების სლაბოდკაზე, მოხდა მუშათა კრება, რომელსაც თავდაპირველად სულ ოციოდე კაცი დაესწრო. ერთი ამ მუშათაგანი ირწმუნებოდა, რომ თავ. ნაკაშიძე იმან მოჰკლა. იმ ქარხნის პატრონს, რომელთანაც მსახურობდა, გასწორებია, მშობლებთან წასულა და მერე ისევ ბაქოში დაბრუნებულა. როდესაც მას ყუმბარა გადუსროლია, ბევრგან შუშები ჩამტვრეულა. ამ გარემოებით მას უსარგებლია და მიმალულა. ყველას ჰგონებია, რომ ყუმბარა ფანჯრიდან გადმოვარდაო. მკვლელი, ყუმბარის გადაგდების შემდეგ, მისულა იმ ქარხანაში, სადაც წინად მუშაობდა, და იქ ისე აღნიშნეს, ვითომც მთელი დღე იქა მუშაობდაო. როდესაც კრებაზე კარგა ბლომად ხალხი მოგროვდა, თავმჯდომარემ სხვადასხვა ქარხნებში მომუშავეთა წარმომადგენლებს მიმართა და სთხოვა, თავიანთ საჭიროებები წამოეყენებინათ. პირველი წამოდგა ისევ ის ახალგაზდა კაცი, როგორც ხატისოვის ქარხნის წარმომადგენელი და განაცხადა, რომ მათს ქარხანაში გაფიცვის საქმე ძალიან კარგად მიდის, რადგანაც თვითონ ხატისოვი მზად არის, გაფიცვების დროს მუშებს მატერიალური დახმარებაც კი აღმოუჩინოს ხოლმე. მაგრამ მან მაინც ითხოვა, რომ მუშები არ გაფიცულიყვნენ, რადგანაც ამ ქარხანას ადმინისტრაცია ამ მხრით ძალიან კარგადა სცნობსო. რაწამს პოლიციამ ეს ამბავი გაიგო, მაშინვე ხატისოვის ქარხანა გაჩხრიკა, მაგრამ რამდენიმე პროკლამაციის და ერთი რევოლვერის მეტი ვერაფერი იპოვა. ახალგაზდა მუშა, გვარად გიორგი ივანეს ძე მაირამოვი ყოფილა. 13 მაისს ქალაქ ერევნის მცხოვრებს, ლევინს, რომელიც ბაქოდან კრასნოვოდსკში მისულა, ადგილობრივ პოლიციის ბოქაულისთვის განუცხადებია, რომ მასთან ერთად ბაქოდან მოდიოდა ერთი საეჭვო კაცი, რომლისთვისაც მას გულმოდგინედ უდევნებია თვალყური. ლევინის სიტყვით, მკვლელი 18 წლის ყმაწვილი უნდა იყოს. ამ განცხადების გამო, პოლიციის ბოქაულს დაუტუსაღებია ლევინის თანამგზავრი, რომელიც გვარად სიონი ზიალიანცი ყოფილა. გამოძიებამ გამოარკვია, რომ ზიალიანცს, ამ რამდენისამე ხნის წინად ბაქოში ჰქონია დუქანი, რომელიც მიმდინარე წლის 7 მაისს ოჰანეს აირაპეტიანცისათვის მიუყიდნია.

21 მაისს ვიღაც კერბალაი-მამედ-ალი-მეშადი-ჰამზა-ალი-ოღლის გამომძიებელისთვის განუცხადებია, რომ ის თავის ნაცნობით, აფეთქების დროს კუშნარევის მაღაზიასთან იდგა და შეამჩნია, რომ მაღაზიიდან პატარა ტანის კაცი გამოვიდა და მოინდომა თავის ადგილიდან აგდება ერთის თათრისა, რომელიც ხილს ყიდდა. მაღაზიასთან ამ კაცს თათრისთვის უთქვამს, მალე აქ სროლა ასტყდებაო. ამით დაინტერესებული კერბალაი თავის ამხანაგით მაღაზიას მოშორებიან და თვალ-ყურის დევნა დაუწყვია. ხილის გამყიდველმა თათარმა, ბოლოს, დაუჯერა და ხილი გვერდზე მიდგა. უცნობმა კაცმა ასეთისავე თხოვნით მიმართა მეორე თათარსაც, რომელიც მაშინვე მოშორდა მაღაზიას. უცნობმა კაცმა იმ იდგილიდან გაჰყარა კერბალაი თავის ამხანაგითაც და ერთი დედაკაცი; მერე ქუჩაში მდგარ თავის ამხანაგებს რაღაცაზედაც მოელაპარაკა და მაღაზიაში შევიდა. ფანჯარიდან მშვენივრად სჩანდა, რომ ეს უცნობი კაცი ვიღაცას ელაპარაკებოდა. ამავე დროს ქუჩაში მდგომმა ამხანაგებმა ამ ადგილიდან ყველანი დაითხოვეს. ერთი კაცი მალმალ მიიხედავდა ხოლმე ვორონცოვის ქუჩისკენ და ამხანაგებს რაღაცეებსაც ანიშნებდა. გამოჩნდა თ-დ ნაკაშიძის ეტლი. მაღაზიიდან გამოვარდა ის უცნობი კაცი და ეტლს რგვალი რაღაცა ესროლა, რასაც საშინელი გრიალი მოჰყვა. შემდეგ კერბალაის ამ კაცის ბინაც მოუძებნია და ისიც გაუგია, რომ ამხანაგებიც ხშირად დადიოდნენ ხოლმე იმასთან. კერბალაის ამხანაგმა, აგალი-ოღლიმ, დაამოწმა კერბალაის ნაამბობი. ამის გამო კერბალაის მიერ აღნიშნული სადგომი გაჩხრიკეს და მოწმების სიტყვით პეტროს სალაკიანცი დაატუსაღეს. კერბალაის და აგალი-ოღლის სიტყვით, სალაკიანცი ერთი იმ პირთაგანია, რომელიც თ-დ ნაკაშიძეს ჰყარაულობდა. კერბალაისა და აგალის გარდა კუშნარევის მაღაზიასთან სპარსეთის ქვეშევრდომს, კურდან-ოღლისაც დაუნახავს ორი კაცი; ერთი იმათგანი წყალსა სვამდა, მაგრამ სტაქანი არ დაცალა, საჩქაროთ ხელი წაავლო რაღაც რგვალს, რომელიც ქაღალდში ჰქონდა შეხვეული, კუშნარევის მაღაზიისკენ წავიდა და კუთხეში დადგა. ერთი წუთის შემდეგ, ამხანაგმა თავით რაღაცა ანიშნა, რის შემდეგაც მაღაზიასთან მდგომმა კაცმა გადაისროლა ის, რაც ხელში ეჭირა. როდესაც ბრალდებულნი აჩვენეს, მან ვერც ერთი იმათგანი ვერ იცნო. 26 ივლისს, კერბალაის და აგალის ცნობებით დაატუსაღეს კიდევ ლევან არუტინოვი და მინას აგასანიანცი: მოწმების სიტყვით, პირველი ბუდკასთანა მდგარა და ნიშანიც იმას მიუცია, მეორე კი—ქუჩაში დადიოდა და რაღაცეებს ანიშნებდა. იმ პოლიციელმა, რომელმაც აგასანიანცი დაატუსაღა, განაცხადა, რომ, დაჭერისათანავე, მას ბრბო შემოეხვია და დაემუქრა. პოლიციელი, კასიმოვი, იძულებული გამხდარა რევოლვერი ამოეღო. მაშინ ქუჩაზე მყოფებმა პოლიციელს 100—300 მანეთამდე შეაძლიეს და ავანესიანცის განთავისუფლება სთხოვეს. როდესაც კერბალაის და აგალის წინათ დატუსაღებული ზიალიანცი წაუყენეს, მათ აღიარეს, რომ ეს სწორეთ ის პირია, რომელმაც ყუმბარა გადაისროლაო, მაირამოვი კი იმ პირად უცვნიათ, რომელიც ჯერ თათარს აგდებდა თავის ადგილიდან და მერე კუშნარევის მაღაზიაში შევიდა ზიალიანცთან მოსალაპარაკებლადო.

რაც შეეხება იმ ორგანიზაციას, რომელმაც ეს მკვლელობა მოახდინა, ამის შესახებ ცნობებს გვაძლევს ორი პროკლამაცია. ერთი—საუაურით „ქ. ბაქოს მცხოვრებლებს" და მეორეც—„რუსეთის მთავრობის კავკასიაში ბრძანებლობაა". პირველი პროკლამაცია სომხის სარევოლუციო პარტიის „დაშნაკცუტიუნ"-ის ბაქოს ცენტრალურ კომიტეტის გამოცემაა, მეორე კი სომხის სარევოლუციო ფედერაციის პასუხის-მგებელ კომიტეტისა. პირველი პროკლამაცია 1905 წლის 12 მაისის თარიღით არის გამოცემული, მეორე—1905 წლის 18 მაისისა. პირველ პროკლამაციაში თ-დ ნაკაშიძეს იმ ბრალსა სდებენ, ვითომც სომხებსა და თათრებს შორის უთანხმოება მას ჩამოეგდოს, რისთვისაც გადაწყვეტილ იქმნა მისი დასჯა, რაც სომხის სარევოლუციო პარტიამ „დაშნაკცუტიუნ"-მა თითონ იკისრა. მეორე პროკლამაციაში კი ემუქრებოდნენ კავკასიის ადმინისტრაციის მოხელეებს: თ-დ ნაკაშიძეს, ელისავეტპოლის ვიცე-გუბერნატორს ანდრეევს, მაზრის უფროსს ბოგუსლავსკის, შმერლინგს, ნაშჩინგს, პავლოვს, პოლიცმეისტერს სახაროვს, ბოქაულს ჯავახიშვილს და ბევრს კიდევ სხვას.

ზემოდ აღნიშნულ ფაქტების თანახმად ბრალი ედებათ სინო ზიალიანცს, გიორგი მეირამოვს, პეტროს სალაკიანცს, ლევონ არუთინოვს და მინას აღასანიანცს. გამომძიებელთან იმათ აჩვენეს: 1) ზიალიანცმა, რომ მან მიჰყიდა თავისი მაღაზია ოვანეს ტერ-აირაპეტოვს, რადგანაც ვაჭრობა ცუდად მიდიოდა, და გადასწყვეიტა კრასნოვოდსკში თავის ბიძაშვილთან გადასახლებულიყო. გუბერნატორის მოკვლის დროს ის სახლში იყო. გუბერნატორის მოკვლის ამბავი აირაპეტოვმა უთხრა, სახლიდან გამოვიდა და თავის ნაცნობს დადაიანს შეხვდა. ბაქოდან ის წავიდა 12 მაისს, ღამე; მეორე დღესვე გემზე გაიცნო ერთი კაცი, რომელიც სცდილობდა გაეგო აქვს თუ არა მას ფული, სინამდვილის თქმა არ უნდოდა და უთხრა: 50 კაპ. მაქვსო, მაგრამ კრასნოვოდსკში იმ უცნობის თვალწინ ლუდი მოითხოვა და ჯიბიდან სამი მანათი ამოიღო. ამ გარემოებამ მეტად გააჯავრა უცნობი, რომელიც დაემუქრა, პოლიციასთან დაგასმენო, მით უმეტეს რომ წინად ლაპარაკში უამბო უცნობს, წინა დღეს პოლიციამ გამჩხრიკაო; 2) მეირამოვმა, რომ 4 მაისს ბაქოდან მშობლებთან დერბენტს წავიდა და უკან 10 მაისს დაბრუნდა, მეორე დღეს მუშაობდა ხატისოვის ქარხანაში, დილის 6 საათიდან შუადღის 11½-მდე; ქარხანაში მუშაობა შუადღის 1 საათამდე სწყდება, ამის შემდეგ ის ისევ მუშაობდა საღამოს 4½-მდე; 3) სალაკიანცმა, რომ 11 მაისს მთელი დღე ტარზიბატიანცის რკინის საწყობში მუშაობდა; 4) არუთინოვმა, რომ მთელი დღე 11 მაისს მანთაშევის ქარხანაში მუშაობდა და 5) აღანესიანცმა, რომ აფეთქების დროს, თავის ნათესავ, კერძო ვექილ თუმანოვთან იყო. ამის გამო ჩვენება ჩამოართვეს დადაიანსა, ნაუმიანცსა, ოვანეს აირაპეტოვსა და პატიანცს; მეირამოვის მხრივ: ხატისოვის ქარხნის გამგე გერცბერგსა და მუშებს: იმინსა, ტასტოკიანცსა, ბერეზინსა, ტატევოსოვსა და კაჩარიანცს, რომელთაც მათი ნალაპარაკევი დაამტკიცეს. ამას გარდა გერცენბერგმა სამხედრო გამომძიებელს წარუდგინა ანგარიშის ქაღალდი, სადაც აღნიშნულია, რომ 11 მაისს მეირამოვი მუშაობაზე იყო 9 საათის განმავლობაში; არუთინოვის მხრივ—მანთაშევის ქარხნის ლაბორანტმა გასრიანცმა, აღასანიანცის მხრივ—კერძო ვექილმა თუმანოვმა იგივე განაცხადეს.

ზემოდ აღნიშნულის თანახმად, ზემოხსენებულ ყველა პირს შემდეგი ბრალი ედებათ: 1) რომ მათ ერთმანეთში მოილაპარაკეს მოეკლან ბაქოს გუბერნატორი თავ. მ. ა. ნაკაშიძე მის სამსახურის მოღვაწეობისთვის და იმ მიზნით. შუადღის სამს საათზე, 11 მაისს 1905 წელს, შეიყარნენ ფრანგელის ქუჩაზე ქ. ბაქოში და უცდიდნენ, როდის გამოივლიდა ნაკაშიძე და როდესაც ეს უკანასკნელი დაუპირდაპირდა მათ ესროლეს მის ეტლს წინდაწინვე, მოტანილი ყუმბარა, რომლითაც თავადი იქვე მოკლულ იქმნა. ეს საქციელი მოხსენებულია 1 ნაწ. 1453 მ. სასჯ. დებ. 1885 წ. და 279 მ. 22 ნ. ს. ვ. ი. 1869 წ. გამ. მე-3. 2) რომ იმავე დროს იმავე ყუმბარით მოკლულ იქმნა თავ. ნაკაშიძის თანამხლებელი ესაული თაყაიშვილი და შემთხვევით იქვე მდგომნი: სპარსეთის ქვეშევრდომი მეშადი-კიარიმა-ალი-ოღლი და ჰასან-კულული-მირზა-ოღლი და სასიკვდილოდ დაჭრილ იქმნა მეეტლე მეშადი იბრაგიმ-ოღლი. ამასთან თუმცა მათ განზრახვა არ ჰქონიათ თავ. ნაკაშიძის გარდა, ზემო-აღნიშნული პირების მოკვლისა, მაინც იცოდნენ, რომ მათი საქციელით ნაკაშიძის ახლომახლო მდგომნიც უნდა დახოცილიყვნენ. ეს საქციელი მოხსენებულია იმავე დებულების 1458 მან. ამ საქციელისთვის თანახმად 17 და 20 მან. ზემოხსენებული ხუთი ბრალდებული გარდაცემული არიან კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოზე ბაქოს დრ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით და გასამართლებულ იქმნებიან სამხედრო დროის კანონებით. ამ საქმისთვის გამოწვეულია 85 მოწამე, მათ შორის ბრალდებულთა თხოვნით—75. ბრალს დასდებს სამხედრო პროკურორის თანაშემწე პოდპ. მოსკოვენკო. ბრალდებულთ დაიცავენ ნაფიცი ვექილები ზარუდნი, მურავიოვი და ენგაბაროვი.

დღის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

17 აგვისტო.

პორტსმუტი, 16 აგვისტო. რუსისა და იაპონიის რწმუნებულნი სამშაბათის სხდომაზე, დილით, ყველა მუხლის შესახებ შეთანხმდნენ. მეორე სხდომაზე დაწვრილებით განხილვას შეუდგებიან. იაპონელებმა მიიღეს პირობანი, რომელიც დადგენილია თვით ხელმწიფე იმპერატორისაგან, იაპონელებმა ხელი აიღეს ჩვენი ფლოტის შეზღუდვისა, ნეიტრალურ ნავთ-სადგურებში მყოფ ჩვენი სამხედრო გემების გადაცემისა და ყოველ გვარ სამხედრო ხარჯის გადახდის შესახებ მოთხოვნილებებზე. სამხედრო ტყვეთა შენახვის ფულის გარდა, სახალინის ჩრდილოეთი ნაწილი დაუთმეს და პირობა დასდეს ლაპეროზის სრუტე გახსნან და იქ სიმაგრეები არააგონ.

პორტსმუტი, 16 აგვისტო. შეთანხმების ამბავმა რწმუნებულთა შორის უზომო მხიარულება გამოიწვია. ოფიციალური ბიულეტენი მათ დეპეშით აცნობეს. სამხედრო არსენალის დარბაზიდან, სადაც სხდომა იყო, მოისმა სამხიარულო ყვირილი მამაკაცებისა, რომლებმაც მაღლა ქუდები ისროლეს, ქალები ტიროდნენ. შემდეგ ყველა ტელეგრაფის სადგურისკენ წავიდა.

პორტსმუტი, 16 აგვისტო. ვიტტეს-მიერ წარდგენილი პირობები იაპონელებმა მიიღეს. ორთავე სახელმწიფოს რწმუნებულებმა თავიანთ მთავრობას წინადადება გაუგზავნეს, დაუყოვნებლივ დროებით ზავი ჩამოაგდონ. ვიტტემ ძლივს გაარღვია გზა თავის სადგომამდის, გზაზე მას შეხვდნენ რუსეთის საელჩოს წევრნი და გარშემო შემოეხვივნენ, ვიტტემ მათ სამხიარულო ამბავი გადასცა. შემდეგ მიუბრუნდა კორესპონდენტებს და უთხრა: „ჩვენ ერთს კაპეიკსაც არ ვიხდით კონტრიბუციას, ვიღებთ სახალინის ნახევარს— აი შეთანხმება როგორია. თავის ოთახში „ასოსიატოდ—პრესს"-ის კორესპონდენტს უთხრა: „ჩვენ სამაგალითოდ გავიმარჯვეთ, იაპონელები თხოულობდნენ ჩვენი საზღვაო ძალები შეგვეზღუდნა, თხოულობდნენ სამხედრო ხარჯის გადახდას ხარბინიდან სამხრეთის რკინის გზის დათმობას; მე ყველაფერზე უარი განვაცხადე. იაპონელებს უნდოდათ სახალინი და მეც უკანასკნელ დროს დავუთმე მისი სამხრეთი ნაწილი, რადგან ბრძანებაა დავემორჩილე. გაკვირვებული ვარ: ამგვარ შედეგს სწორედ რომ არ მოველოდი".

პორტსმუტი. ამბობენ, დღეს კომურამ ახალი წინადადება წარადგინა, რომელშიაც კონტრიბუციის გადახდასაც თხოულობდა, ხოლო სხვა სახელწოდებით. ვიტტემ უარი განაცხადა. მაშინ კომურამ სთქვა, რუსეთის პირობები მიგვიღიაო. ასეთი დათმობა იაპონიის მხრივ სრულიად მოულოდნელი იყო. რუსები გადაიხდიან მხოლოდ 15—20 მილიონ გირვანქა სტერლინგს დატყვევებულ რუსთა შენახვის ხარჯად. ამბობენ, მორიგეის ხელშეკრულობაში საიდუმლო მუხლი იქმნებაო ჩართული და ხელშეკრულობის შინაარსი არ გამოქვეყნდება, ვიდრე ყველაფერში საბოლოოდ არ შეთანხმდებიანო. ზავის ჩამოგდებას ყველანი ერთხმად რუზველტის შუამავლობას აწერენ.

პეტერბურგი, 16 აგვისტო. 15 აგვისტოს გამოცემულ უმაღლესის ბრძანებით, ვარშავის გენერალ-გუბერნატორი და ვარშავის სამხედრო ოლქის უფროსი—გენერალ-ადიუტანტი მაქსიმოვიჩი დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდან გენერალ-ადიუტანტის ხარისხით. იმის ადგილას ინიშნება სამხედრო ოლქის უფროსის თანაშემწე სკალონი.

სტამბოლი, 17 აგვისტო. ხვალ აქ მოვა საბერძნეთის ბატონიშვილი ნიკოლოზი მეუღლითურთ, რამდენიმე დღეს სულთანის სტუმრად იქმნება და სადღესასწაულოდ დაესწრობა, რაც ოსმალეთისა და საბერძნეთის ურთიერთობის განკარგებას ამტკიცებს.

კაირო, 16 აგვისტო. ევროპის ელჩები დაესწრნენ იმ ბანკეტს, რომელიც ერცგმა ჩინგომ გამართა ქვეყნის მოსავლიანად დანიშნულ კომისიის პატივსაცემლად. ამ კომისიამ პარლამენტარული რეჟიმი უნდა შეისწავლოს, რადგანაც ქვრივ იმპერატრიცას აზრადა აქვს ახალის წლისათვის გამოსცეს დეკრეტი იმის შესახებ, რომ თორმეტი წლის შემდეგ ჩინეთში პარლამენტი იქნება დაარსებულიო.

პეტერბურგი. შეამდგომლობა იურიდიულ საზოგადოებისა სრულიად რუსეთის იურისტთა კრების მოწვევის შესახებ იუსტიციის მინისტრმა არ შეიწყნარა; ამჟამად ამგვარ კრების მოწვევას არავითარი საჭიროება არ მოითხოვსო.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტროს საერობო განყოფილებისაგან. გუბერნატორებისაგან გამოგზავნილ ცნობებით, სრულიად გამოირკვა მოუსავლიანობა ვორონეჟის, ვლადიმირის, ტვერის, სამარის, სიმბირსკის, ტამბოვის, ტულის და რიაზანის გუბერნიებში და ზოგ მაზრებში ორლოვის და ხერსონის გუბერნიებისა. მცირე მოსავალია ასტრახანის გუბერნიის ზოგს მაზრაში და ვიტებსკის, ვოლოგდის, ვიატკის, ყაზანის, ნიჟეგოროდის, ფსკოვისა და პეტერბურგის გუბერნიებში. იმ გუბერნიების მოშიმშილ ნაწილში, სადაც მოუსავლიანობაა, ადგილობრივი თანხები საკმარისი არ იქმნება სათესის შეძენისათვის, რადგან ეს თანხები თითქმის სულ დახარჯული იყო უკანასკნელ წლების მოუსავლიანობის გამო. ამიტომ საჭირო შეიქმნა სახელმწიფოს სასურსათო თანხიდან დარიგებიყო 5 მილიონ მანათამდე სათესის შესაძენად, რაც სავალდო დაწესებულებათ დაევალათ. რაც შეეხება ხალხის გამოკვებას დასახელებულ გუბერნიებში, ამჟამად საგუბ. დაწესებულებანი იკვლევენ, რა თანხაა საჭირო და რა დახმარება უნდა გაუწიოს სახელმწიფო ხაზინამ.

პეტერბურგის ბირჟა, 16 აგვისტო.

სამ-თვიან თამასუქების კურსი:

ლონდონის ბირჟაზე 10 გირვ. სტ.	94,25
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ჩეკები ლონდონისაზე	94,75
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,65—62½
ბირჟის დისკონტი	5½—6¾%
4% სახელმწიფო რენტა	85⅛
4%-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
4½ შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბანკ.	80½
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	411½
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	312
5% გირ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ.	265½
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. სახ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
4½% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. საად.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	222
ძმ. ნობელის ნავთ. მრეწვ. ამხ. პაი	10150
აქციებები.	502.

კურნალო წყლებზე,—სადაც მთელის პოლონეთის შეძლებული ნაწილი იკრიბება. ამგვარად, იგი ყველგან უკვირდებოდა ხალხს, მათს ცხოვრებას და შეიძინა ის დიდი ცოდნა, ურომლისოდაც ჩვენ დროში მწერალი ვერას გახდება.

ნუ კი გეგონებათ, რომ სენკევიჩს უყვარდეს ლხინი და ქეიფი, ხალხში გამოსვლა, უბრალოდ დროის დაკარგვა, არა პირიქით მორცხვიც კი არის და ყოველთვის გაურბის ხალხს. რამდენიმე ზამთარი კარპატის მთებში განმარტოვებულად გაატარა, რომ ეფიქრნა და ეწერნა თავისი მოთხრობები.

ისტორიულ რომანების დაწერის შემდეგ, სენკევიჩი კვლავ დაუბრუნდა თავის თანამემამულეთა თანამედროვე ცხოვრების აღწერას. მისი „უდოგმატო", რომელშიც აღწერილია პოლონეთის უმაღლესი საზოგადოება და ინტელიგენცია, უპირველესი ფსიხოლოგიური რომანია პოლონეთის თანამედროვე ლიტერატურაში. ამ რომანით სენკევიჩს სურდა დაეხატა „სული პოლონელისა" თანამედროვე ცხოვრების ზეგავლენით გარდაქმნილი და მისი გმირი პლოშოვსკი სწორედ რომ სრული დამახასიათებელია ამ „სულისა". პლოშოვსკი,—მდიდარი არისტოკრატი, რომელიც მარტოოდენ ესტეტიურსა და ლიტერატურულ გართობებზე ჰფიქრობს, საზღვარგარეთს უფრო ეწყობა, ვიდრე თავის, შედარებით, ნაკლებ კულტურიან სამშობლოს და ხშირად უფრო საზღვარ გარედა სცხოვრობს,—ტიპია პოლონეთის არისტოკრატიისა. მაგრამ ეს ტიპი მრავალრიცხოვანია და სენკევიჩმაც სწორედ ამიტომ აიღო იგი თავის აღწერის საგნად.

მე თვითონ ვიცნობდი ბევრ პოლონელს ქალსა და კაცს, რომლებიც, ზამთრობით პოლონეთში მომწყვდეულნი, მუდამ ვენასა, პარიზსა და იტალიაზე ოცნებობდნენ. ესენი შორს იდგნენ თავის ქვეყნის კულტურაზე და რაღა საკვირველია, რომ სამშობლოს ცხოვრება აგრე რიგად არ აკმაყოფილებდათ.

პლოშევსკიმ, რომელსაც საზღვარგარეთი უფრო უყვარს, ვიდრე თავისი სამშობლო, არ იცის, რას ეძებს და რა უნდა, რისთვისა სცხოვრობს, როგორ მოიპოვოს სულის სიმშვიდე, და აი, მას ნიადაგი ეცლება და რჩება უდოგმატოდ, ურწმუნოდ. მისი დაკვირვებანი თავის და სხვის ცხოვრების შესახებ მეტად საინტერესო და საყურადღებოა. მაგრამ მისი თვით-მოყვარეობა და ეგოიზმი გულში ხელსა გკრავთ და პირს გარიდებინებთ ამ კაცისაგან. ათავებთ მოთხრობას, ხურავთ წიგნს და თქვენ თავს განცვიფრებით ეკითხებით, „ნუ თუ ეს არის სული თანამედროვე პოლიანელისაო"? მაგრამ, აგერა მეორე რომანი სენკევიჩისა „პოლონეცკების ოჯახობა". აქ მას გამოყვანილი ჰყავს პოლონელთა შუათანა წოდება, მუდამ მშრომელი, ჯანსაღი და ერის უკეთესის თვისების მატარებელი ხალხი. და სწორედ აქ უნდა ვეძიოთ იგი სული ხალხისა, რომლის დასურათებაც სენკევიჩს აზრადა ჰქონდა.

ყველაზე გულ-თბილად სენკევიჩი ასურათებს პოლონელ ქალებს. იგინი ყველა მის ნაწერებში გამოდიან ქველნი, მგრძნობიერნი, ოჯახის მოყვარულნი, ქმარ-შვილის ერთგულნი და ყაირათიანნი. სენკევიჩი ერიდება ანგარებითა და გაიძვერობით აღსავსე მაღალ წოდების ქალთა აღწერას. და ეს არც საკვირველია. ვისაც წაუკითხავს სენკევიჩის ორი-სამი მოთხრობა, იმას ეცოდინება, რომ სენკევიჩი მთელ თავის მოღვაწეობას სამშობლოს ქება-დიდებას ანდომებს: ამ აზრითვე აქვს დაწერილი უკანასკნელი რომანებიც „ჯვრის მტვირთველნი" და „იან სობესკი", რომელთა შინაარსი სამშობლოს სადიდებლად განგება აქვს შერჩეული.

სენკევიჩი ხალხთა ცხოვრების ღრმა მაძიებელი არ არის, თავის ერის ცუდ თვისებათ განგებ თვალს არიდებს, ვინაიდან გული და გემოვნება ნებას არ აძლევს, რომ იგი მიუდგომელი რეალისტი, თავის ერის ცხოვრების ულმობელი მკვლევარი იყოს.

სენკევიჩი რომანტიზმის მიმდევარია. იგი ღვიძლი შვილია არისტოკრატიულ-კათოლიკურ კულტურის მატარებელ პოლონეთის თავადაზნაურთა. ამ თორმეტის წლის წინად, სენკევიჩმა მეორე ცოლი რომ შეირთო კრაკოვში, კარდინალმა დუნაევსკიმ დასწერა ჯვარი და ქორწილსაც მხოლოდ მაღალი არისტოკრატია დაესწრო. ამის შემდეგ, იგი წავიდა რომში და თავისი ცნობილი რომანი „Quo Vadis" დასწერა.

აზრის ახალ მსვლელობას სენკევიჩი თითქა ვერც კი ამჩნევს და პოლონეთის აზრის ისტორიაში იგი უკვალოდ დარჩება. მაგრამ, სამაგიეროდ სენკევიჩი, როგორც დიდი ხელოვანი, გატაცებით მოსიყვარულე თავის სამშობლოსი, მცოდნე ადამიანის სულისა და მშვენიერის მოთხრობების მწერალი, ცნობილია მთელ დედამიწის ზურგზე და იშვიათს მის თანამედროვე მწერალსა ჰყავს იმდენი მკითხველი, რამდენიც— სენკევიჩსა. თავის სახელთან მან განადიდა სახელი სამშობლო ლიტერატურისა. და ესეც დიდი ღვაწლია.

არტურ ლეისტი.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**

გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

განცხადებანი

საბჭო ქუთაისის საქალაქო სამეურნეო საზოგადოების „შრომა"-სი ამით აცხადებს, რომ, რადგან 31 ივლისს არ შესდგა ამ საზოგადოების წევრთა კრება, მეორე კრება დანიშნულია კვირას, 21 აგვისტოს, საღამოს 6½ საათზე ქ. ქუთაისში, ქილაქის საბჭოს დარბაზში, განსახილავად წლიურის ანგარიშებისა და საზოგადოების სკოლის საჭიროების შესახებ სხვადასხვა კითხვების გადასაწყვეტად. ვსთხოვთ როგორც წევრთ, აგრეთვე ყველას, ვისაც აინტერესებს საზოგადოების ერთი წლის მოქმედების გაგება, დაესწრონ აღნიშნულ კრებას. (5—3)

ბუხჰალტერი-სპეციალისტი

(წელიწადი მესამე)

ამზადებს წელს ბევრად ვრცელ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად, 1. **ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა**, 2. **საზოგადო სავაჭროსა**, 3. **ბანკისას**, 4. **კომერციულ არითმეტიკასა (საშუალო კომერც. სასწ. კურსია)**, 5. **ფინანსიურ გამოანგარიშებასა**, 6. **არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით**, 7. **კომერციულ კორესპონდენციასა**, 8. **ვაჭრობის ისტორიასა**, 9. **ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებში.**

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის).

სწავლა ყოველ დღე, საღამოს 5-დან 7 საათამდე. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მანათი. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1905 წ.

ადრესი: ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს**, მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17 (კუკიაში), მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე, საღამოს 4-დან 8 ს-დის, კვირაუქმეობით კი—დილის 9-დან 2 საათამდის.

მსმენელთ წელს გავაცნობ აგრეთვე სხვა საბუხჰალტერიო სისტემებსაც.

ვამზადებ ზემო-აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 7-დან 8 საათამდის შეეძლებათ სწავლა და, ამასთანავე, თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ, საზოგადო არითმეტიკასა და რუსულ ენაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.

პროგრამა კურსებისა მსურველთ უფასოდ ეძლევათ და ეგზავნებათ.

(15—15) **ალ. გ. საათაშვილი.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 17 Августа 1905 г.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5